რუსეთის სოციალდემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კვირა, 5 ნოემბერი 1917 წ

ერთობა

ფასი 15 კაპ.

გაზეთის ფასი: ერთი თვით 3 მან. 85 კაპ., ცალკე ნომერი ყველგან 15 კ. საზღვარ-გარეთ ორჯერ მეტი. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—50 კაპ. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომის 8 მ. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 11 ნახ. საათისა. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ხელის მომწერლებმა ფული შემდეგი ადრესით უნდა გამოგზავნონ: Тифлисъ почтов. ящ. 199. Редакція „Эртоба". ხოლო [illegible] ადრესით გამოგზავნილს [illegible] მიიღებს.

რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თფილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 189 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალდემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა. № 189

დამფუძნებელი კრების სადეპ. კანდიდატები
ამიერ კავკასიის საარჩევნო ოლქიდან
რუსეთის ს. დემოკრატიულ მუშ. პარტიის (მენშევიკების)
სია № 1

1) **ჟორდანია,** ნოე ნიკოლოზის ძე, პირველი სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
2) **წერეთელი,** ირაკლი გიორგის ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯარის კაცთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის ამხანაგი.
3) **ჩხეიძე,** ნიკოლოზ სიმონის ძე, მესამე და მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი, მუშათა და ჯარ. დეპ. საბჭოთა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე.
4) **გეგეჭკორი,** ევგენი პეტრეს ძე, მესამე სახელმწიფო დუმის წევრი, კავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრის თავმჯდომარე.
5) **ზურაბოვი,** არშაკ გერასიმეს ძე მეორე სახელმწიფო დუმის წევრი.
6) **რამიშვილი,** ნოე ბესარიონის ძე, კავკასიის გლეხთა დეპ. საბჭ. ცენტრის თავმჯდომარე.
7) **რამიშვილი,** ისიდორე ივანეს ძე, პირველ სახელმწიფო დუმის წევრი.
8) **ჩხენკელი,** აკაკი ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი. ამიერ-კავკასიის სავანგებო კომიტეტის წევრი.
9) **სკობელევი,** მათე ივანეს ძე, მეოთხე სახელმწიფო დუმის წევრი.
10) **ჯიბლაძე,** ვლადიმერ გიორგის ძე, მუშა, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.
11) **გიორგაძე,** გრიგოლ ტიმოთეს ძე, ქუთაისის გუბერნიის კომისარი.
12) **სმირნოვი,** მიხეილ ნიკოლოზის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარისა და თფილისის ქალაქის თავის ამხანაგი.
13) **ბუქნაზარიანი,** იოსებ არტემის ძე, კავკასიის ჯარის საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
14) **ლომთათიძე,** ალექსანდრე სპირიდონის ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ კომიტეტის წევრი.
15) **ტერ-ღაზარიანი,** ღაზარ გრიგორის ძე, პოლიტექნიკურ ინსტიტუტის ლექტორი.
16) **მახარაძე,** გერასიმე თომას ძე, მეორე სახელმწიფო დუმის წევრი, თფილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარის ამხანაგი.
17) **არსენიძე,** რაჟდენ მათეს ძე, გაზ. „ერთობის" რედაქტორი.
18) **ბერნშტეინი,** ერიკ ადოლფის ძე, მასწავლებელი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
19) **როდე,** არტურ სტანისლავის ძე, კავკასიის გზების იურისკონსულტი.
20) **თევზაია,** ვიქტორ ვასილის ძე, ჟურნალისტი.
21) **მალხაზოვი,** აბრამ ივანეს ძე, ბათუმის მუშ. და ჯარ. დეპუტ. საბჭოს თავმჯდომარე.
22) **მოისეენკო,** პეტრე ონისიმეს ძე, კავკასიის მუშ. დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
23) **გვარჯალაძე,** კონსტანტინე [illegible] ძე, ექიმი, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
24) **აიოლლო,** გრიგოლ [illegible] ძე, ჟურნალისტი.
25) **აბჯაფარიძე,** გიორგი ნესტორის ძე, ნაფიცი ვექილი, ბათუმის ქალაქის საბ. ხმოსანი.
26) **კორინევა — ქორიძისა,** ინა ივანეს ასული, თფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
27) **კოპანდოპულო,** ნიკოლოზ სავის ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენ. წევრი
28) **ბაბლოევი,** გიორგი ალექსის ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
29) **ფარნიევი,** ალექსანდრე ივანეს ძე, კავკასიის გლეხთა დეპუტ. საბჭოთა ცენტრის წევრი.
30) **ტოროშელიძე,** მინადორა ეფრემის ასული, ექიმი.
31) **ჩუმაკოვი,** ანტონ პავლეს ძე, მემანქანეთა პროფესიონალურ კავშირის თავმჯდომარე.
32) **პირუმოვი,** ბოღდან ჯავადის ძე, ინჟინერი, ამიერ კავკ. რკ. გზ. ცენტ. კომიტ. წევრი.
33) **ერაძე,** გიორგი პავლეს ძე, კავკასიის მუშათა დეპუტ. საბჭოთა ცენტ. თავჯ. ამხანაგი.
34) **მანიშვილი,** რუვიმ ხაიმის ძე, თფილისის რკინის გზის დეპოს ზეინკალი.
35) **ზურაბიანი,** ლოთი დანიელის ასული, მასწავლებელი, თფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი.
36) **კოვალიოვი,** მიხეილ ანდრიას ძე, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტის წევრი.

მიმდინარე წლის 7 ნოემბერს სრულდება ექვსი თვე დღიდან გარდაცვალებისა ძვირფასი სახელოვანი [illegible] ექიმის

მიხაკო ცეცხლაძისა

რასაც აუწყებენ ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს ღრმად დამწუხრებული მამა ყარამან, დედა ელენე, დები და ძმები: ვლადიმერ და ილია.

ეფემია და ევგენია სიმონის ასულნი და ზაქარია სიმონის ძე მეფისაშვილები, თამარ იოსების ასული და მიხეილ იოსების ძე ქაჩხოშვილები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს გარდაცვალებას პირველთა უძვირფასესი და დაუვიწყარი დისა, ხოლო უკანასკნელთა დაუვიწყარ დედისა

კოსტანცია სიმონის ასულის მეფისაშვილისა

დაკრძალვა მოხდება [illegible] სასაფლაოზე.

თფ. ქალაქის გამგეობა აცხადებს,

რომ ხაზინურ სასწავლებლებში განთავისუფლდა შემდეგი სტიპენდიები ქალაქ თფილისის მკვიდრთათვის:

1) ბესპალოვის სახელობაზე: მეხუთე ვაჟთა გიმნაზიაში და რეალურ სასწავლებელში თითო სომხებისათვის.

2) შამხაროვის სახელობაზე: 1 ლ კომერციულში—ერთი სომხისათვის რეალურ სასწავლებელში და მეხუთე გიმნაზიაში თითო ქართველებისათვის.

3) პუშკინის სახელობაზე: მეხუთე გიმნაზიაში—ერთი ქალაქის პირველ დაწყებითი სასწავლებელში კურს დამთავრებულისთვის, განურჩევლათ ეროვნებისა.

4) დიდ მთავარ მ. ნ. სახელობაზე: 1 ლ და მე-2 ქალთა გიმნაზიაში თითო განურჩევლათ ეროვნებისა.

5) ჩერქეზიშვილის სახელობაზე: მეოთხე გიმნაზიაში—ერთი ბეჭდვითი საქმეზე მოღვაწეთა შვილებისათვის.

6) ერთი სახქალაქო: პირველ ვაჟთა გიმნაზიაში განურჩევლათ ეროვნებისა.

თხოვნები მეტრიკულ მოწმობებით და გიმნაზიის მოწმობებით მიიღება ქალაქის სასკოლო განყოფილებაში (სერგიევის ქ. № 4) 15 ნოემბრამდე 1917 წ. 1—1

ბოლშევიკების მთავრობა

ბოლშევიკებმა თავის მთავრობა გამოაცხადეს, რაც გაზეთებმა გვამცნეს; მარა ამ მთავრობას არავინ სცნობს, გარდა თვით ბოლშევიკებისა.

თავის განმარტებების მეორე დღიდანვე მათი მთავრობა საზრუნველ შეიქნა ხალხის გულის მოგება. მდგომარეობა აიძულებს და ბოლშევიკებიც დემაგოგიას შეჩვეულნი, დემაგოგიურ მთავრობათ იქცევიან. ამ მიზნით ისინი აცხადებენ თავის თავს მუშათა და გლეხთა მთავრობათ. თუმცა გლეხებისა და მუშებისთვის არც კი უკითხავთ, სურთ მათ ასეთი მთავრობა ბოლშევიკების, თუ არა.

იმ მუშათა და სალდათთა ყრილობასაც კი, რომელიც მათ ძალაუფლების მთავარ წყაროთ გამოაცხადეს, არ უმჯელია, ამის საპირობაზე. იგი მან მზამზარეული ჩაიბარა ბოლშევიკების წინასწარი აჯანყების წყალობით. მარა სწორეთ ამ თავზე მოხვევის გამო მას ჩამოშორდნენ ყველა დემოკრატიული და სოციალისტური პარტიები და ჯგუფები. სწორეთ ამ თავზე მოხვევის გამო იგინი დარჩნენ განმარტოვებული და ბოლოს და ბოლოს თავის ნება სურვილი ძალადობით თავისთავს მოახვიეს. სხვები ასეთი წყალობით არ დახარბდნენ.

მარა ბოლშევიკების მწერლები, მაინც არ დრკებიან. ჩვენ ნამდვილი კოალიცია გვაქვს, გაიძახიან ისინი. კოალიცია გლეხებთან, მუშებთან და სალდათებთან, ე. ი. თვით ხალხთან, რომელსაც მათთვის არ მოუსმენია და მათთვის დასტური არ მიუცია. ცხადია ეს ფრაზეოლოგია ჩვეულებრივი დემაგოგიაა—ფრაქციული სადემაგოგიო ისტორიიდან ამოღებული.

მარა დემაგოგია მარტო ამით არ თავდება. ამ მიზნით ბოლშევიკებმა ხელი აიღეს მთელ თავის პროგრამაზე.

რა საჭიროა პროგრამა, ან რაიმე გარკვეული გზა?

ომის საკითხში შეიდემანის, პლეხანოვის, წერეთლის მიძღვნილნი ვილგელმს და ლოიდ-ჯორჯს მიმართავენ [illegible] თხოვნით, ვინც დასწრებთ და პირველი გვეტყვი თავის პირობებს ზავისას, იმასთან დავიწყებთ მოლაპარაკებას. სოციალისტურ პარტიებთან მოლაპარაკება—მოლაპარაკება რუსეთის კლასის მოწინავე რაზმებთან, რომლებმაც იწვიეს პირველი საბჭოები, და რომელსაც მიზნათ ქონდა სტოკჰოლმის კონფერენციის მოწვევა, ბოლშევიკებისგან უარყოფილი იქნა.

ევროპის პროლეტარიატთან პირისპირ მოლაპარაკება მათ მაშინ დასაძრახის მოღალატეობათ ჩათვალეს.

ახლა თვითონ ევროპის იმპერიალისტურ და ბურჟუაზიულ მთავრობებს ეჩურჩულებიან მოვილაპარაკოთ და რა პირობებიც უნდა წამოგვიყენოთ, ჩვენ მაინც გავმართავთ თქვენთან მუსაიფს.

ნუ თუ არ იციან, რომ ეს პირობები იმპერიალისტური იქნება, თუ კი რომელიმე მთავრობამ მოისურვა მათთან გამოლაპარაკება?

დიახ იციან და მაინც მუხლს ქვეშ უყარდებიან. ასეთია მდგომარეობა. და ლენინი, ლიდერი ბოლშევიზმის, ამას იოლათ ხსნის: ეს სააგიტაციოთ გვინდაო. და ამით ალბათ გულუბრყვილო და განუვითარებელ მკითხველს უპირებს თვალების ახვევას. მიწის საკითხშიაც ასეთივე დემაგოგიური მოსაზრებით დეკრეტით აცხადებენ იმ ნაკაზს, რომელიც გლეხთა ცენტრალურმა საბჭომ შეიმუშავა. რა ვუყოთ, რომ იგი ბოლშევიკების არც ერთ შეხედულებას არ ეთანხმება, რომ იგი მათ პროგრამასაც არ გავს. განა საქმე პროგრამაზეა? არა ბოლშევიზმს უნდა მოიპოვოს მხოლოდ თანაგრძნობა გლეხობის, მარა ისე, რომ არსებითად არაფერი არ მისცეს.

არსებითათ ეს დეკრეტი მიწის შესახებ განუხორციელებელია. ჯერ ერთი მრავალი და უმთავრესი მისი დებულებანი, თვით დეკრეტისავე სიტყვით დამფუძნებელმა კრებამ უნდა გადაჭრას. ხოლო რის გადაწყვეტაც ახლავე შეიძლებოდა, იგი ადგილობრივ საადგილმამულო კომიტეტებმა უნდა გამოარკვიონ, განსაჯონ და გადაჭრან.

აქედან გამოდის, რომ ვის როგორ უნდა, ისე გადაჭრის. ყოველ მაზრას თავის საკუთარი კანონი ექნება, საკუთარი წესი და რიგი. ამიტომ ვამბობთ ჩვენ, რომ ამ დეკრეტის გამოცემას აქვს მხოლოდ დემაგოგიური მნიშვნელობა და არა რეალური. იგი გლეხებს არაფერს აძლევს, გარდა ანარქიისა და არევდარევისა.

ბოლოს შინაგან საქმეთა მოწყობაში ბოლშევიზმი „რკინის მუშტით" ემუქრება ყველას, ვინც მათ ბატონობას არ ცნობს და ლენინსა და ტროცკის უდიდეს, პირდაპირ გენიოსურ სახელმწიფო მოღვაწეებათ არ აღიარებს. რათ დასჭირდათ ეს, თუ „მთელი ხალხის თანაგრძნობითაა არიან შემოსილი? ვიღას ემუქრებიან, თუ მათ უკვე განახორციელეს კოალიცია გლეხების,. მუშების სალდათების. ბურჟუაზიის? არა, ისინი ემუქრებიან ისევ მენშევიკებს და ესერებს. რომ კალედინი მოდის და რევოლუცია მოაქვს ყაზახთა ხიშტის წვერზე—ეს მათ მხედველობიდან გამოპარვია. ისინი ემუქრებიან დემოკრატიას, რომელიც მათ ავანტიურას არ აყვა.

და ეს ერთათ-ერთი დემაგოგიური დადგენილებაა, რომელსაც ისინი ნაწილობრივ მაინც შეეცდებიან სისრულეში მოიყვანონ თვითგასამართლების საშვალებით, გაზეთების ცნობებით ასეთ თვითგასამართლების მსხვერპლი უკვე არა ერთი და ორი სრულიად უდანაშაულო პირი შეიქნა.

ცხადია „რკინის მუშტის" ქადაგება—ეს იმ „საპოგრომოთ" განწყობილ ელემენტების დასაკმაყოფილებლათ, რომელნიც მათ რაზმში საკმაოთ ურევია.

ამ ნაირათ დემაგოგია საგარეო პოლიტიკაში, დემაგოგია საშინაო პოლიტიკაში. ასეთია პირველი და უკანასკნელი სიტყვა ბოლშევიზმის.

ბოლშევიკების „ზავი"

ხალხს ზავი სწყურია. უკვე მეოთხე წელიწადია, რაც რუსეთი ომის ალშია გახვეული. ამ ხნის განმავლობაში საოცრად აირია მეურნეობა და ალებ-მიცემობა, მინდვრები და უთვალავი რიგები, ცხოვრება დღითი-დღე ძვირდება. მრავალი ახალგაზდა იხოცება და ყოველივე ეს იმ დროს, როცა ხალხს არ აღაფრთოვანებს არავითარი იდეა, შეიძლება ითქვას, მას არ აქვს ამ ომში არავითარი მიზანი.

ომის სულის ჩამდგმელებმა თუმცა ერთეულებათა განთავისუფლებლათ გამოაცხადეს ეს ომი, მაგრამ მათი თვალთმაქცობა სულ ადრე გამოირკვა, როცა არა მარტო გერმანიამ იწყო წვრილ ერების განადგურება, არამედ რუსეთმა საკუთარ სახელმწიფო საზღვრებში მცხოვრები წვრილი ერებიც კი არ დაინდო. ბოლოს და ბოლოს აშკარათ, უსირცხვილოდ გამოაცხადეს ომის მიზანი, რომელიც კონსტანტინოპოლის და სრუტეების ხელში ჩაგდებით განსაზღვრეს.

ამას ზედ დაერთო რუსეთის ტეხნიკური მოუმზადებლობა, თვითმპყრობელობის მოხელეთა გამყიდველობა და ცხადი გახდა, რომ რუსეთს გამარჯვების იმედი ვერ ექნებოდა.

ომით ყველაზე უფრო უკმაყოფილოა ჯარი, სალდათთა მასსა, მთელი თვეობით ნესტიან და ცივ სანგრებში ჯდომამ და რწმენამ, რომ ეს ომი სულ ერთია წაგებულია, ერთიან დაიუძლურა ჯარი და ომის გაგრძელება შეუძლებელი გახადა. აქ უნდა ვეძიოთ უკმაყოფილების სათავე, ამით აიხსნება სალდათების გატაცება ბოლშევიკური ლოზუნგებით. სოციალიზმი რომ სასარგებლოა, ეს ყველასათვის ცხადია, მაგრამ მარქსისტობაც არ არის საჭირო იმის გასაგებათ, რომ სულ სხვაა სარგებლობა, ინტერესი და სულ სხვაა ობიექტური პირობები, საწარმოვო ძალთა განვითარება. და რამდენათაც ბოლშევიკები დღესვე შეეცდებიან სოციალიზმის დამყარებას, იმდენათ ისინი თავის წინააღმდეგ აამხედრებენ გლეხობას და წვრილ ბურჟუაზიას, ე. ი. მათ გადაუდგება სალდათთა მასსა, სისხლი სისხლთაგან და ხორცი ხორცთაგანი ამ ბურჟუაზიისა.

ერთი სიტყვით, ბოლშევიკების მიმდევარ მასას ამოძრავებს სურვილი ომის შეწყვეტისა. იმედი, რომ ომის დათავებას მოჰყვება არეულ ცხოვრების დაწყნარება, წესიერ კალაპოტში ჩაყენება.

რა გააკეთა ამ სფეროში კერენსკის მთავრობამ? არაფერი. მან ვერ მოაახლოვა ზავი და ამან დაუკარგა მას სიმპატია.

რა გააკეთა ახალმა, ბოლშევიკურმა „მთავრობამ", თუ, რასაკვირველია, მთავრობა დაერქმევა იმას, რაც დღეს პეტროგრადში არსებობს. ამ მხრით შესანიშნავ დოკუმენტათ შეიძლება ჩაითვალოს „ზავის დეკრეტი".

ეს დოკუმენტი მიუხედავათ მისი მჟღერალა სათაურისა, ახალს თითქმის არას შეიცავს. ომით რომ ხალხი ეწამა, რომ ხალხს ზავი სწყურია, ზავი სამართლიანი, ეს ახალი მოთხოვნა არ არის. მაგრამ თუ საშუალებებს მივმართავთ, დავინახავთ, რომ ბოლშევიკები ცარიელ სიტყვებს ვერც აქ გასცდებიან. მართალიც რა არის თუ არა ცარიელი სიტყვები ეს—„ხელშეკრულების გამოქვეყნება", „ყველა მეომარ სახელმწიფოებისადმი მიმართვა", „სამშვიდობო ზავის აქტზე ხელის მოწერა", „საიდუმლო დიპლომატიის მოსპობა", „დაუყოვნებლივ დროებითი ზავის ჩამოგდება სამი თვით" და სხვა. განა კერენსკის მთავრობამ ნაკლები დეკლარაციები გამოაქვეყნა? ან იქნებ ბოლშევიკებს იმით მოაქვთ თავი, რომ საზოგადოთ ბურჟუაზიულ მთავრობას მიმართავენ.

კარგია ლოზუნგით ზავი, რომ ამ ხნის განმავლობაში ნამდვილ ზავზე მოვიდეს მოლაპარაკება. კარგია, მაგრამ, განა ყველაფერის განხორციელება, რაც კი კარგია, შესაძლებელია? რომ არ დათანხმდნენ არც ზავს და არც წინასწარ მოლაპარაკებას? განა ბოლშევიკებმა არ იციან, რომ რამდენიმე სახელმწიფოს ინტერესია ერთმანეთზე გადაბმული და ზავის ხსენება კიდევ არ ნიშნავს მის ჩამოგდების შესაძლებლობას.

ბოლშევიკები თითქოს თითონ გრძნობენ ამ უზრუნველობას და თითონვე აცხადებენ „ამ პირობებს (ე. ი. ზავის პირობებს) ულტიმატუმის ხასიათი არ აქვსო".

ასეთ უზრუნველ მდგომარეობაში ვარდება პარტია, რომელიც თავის მოქმედებაში უნიადაგობას გრძნობს.

მაგრამ ბოლშევიკები არ კმაყოფილდებიან ამით და თავის დეკრეტში ერთ უდიდეს დემაგოგიას მიმართავენ. ისინი აცხადებენ, რომ ჩამოაგდებენ ზავს უანექსიოს, ხოლო ანექსიაზე თვლიან ყოველ შემოერთებას, დიდის სახელმწიფოს მიერ პატარა ერისა, მიუხედავათ იმისა თუ როდის მოხდა ეს შემოერთება. თუ ეს მართალია, თუ ბოლშევიკები ამას გულწრფელათ მოითხოვენ, ცხადია მათ სწადიათ რუსეთის და, რადგან ვინ არ იცის, რომ რუსეთის ყველა კუთხეები, გარდა ძველი მოსკოვის სახელმწიფოსა, ძალით არიან შემოერთებული, ანექსიის ასე ფართოთ გაგება ცხადია, რუსეთის დანაწილებას უქადის.

ჩვენ რასაკვირველია, მომხრე ვართ ერთა თვითგამორკვევის, მაგრამ არა გვგონია დღევანდელ გარდამავალ ხანაში და ისიც დამფუძნებელ კრების გარეშე ასეთი დიდი ცვლილების განხორციელება შეიძლებოდეს უმტკივნეულოდ.

ასეთია ბოლშევიკების დემაგოგია.

მანამდის, სანამ მათი დეკლარაცია ცარიელ სიტყვებს არ გაშორებია, ის სილამაზეს არ არის მოკლებული, მაგრამ რა წამს ბოლშევიკები სიტყვიდან საქმეზე გადავლენ, ანარქია კიდევ უფრო გაძლიერდება და რევოლუცია კიდევ უფრო დიდ საფრთხეში ჩავარდება.

დემოკრატიის და განსაკუთრებით მუშათა მასის პოლიტიკური მოვალეობაა ბოლშევიზმს ღირსეული გზა უჩვენოს.

ბოლშევიკების „დიქტატურა"

ბოლშევიკების ბლანკისტურმა უტოპიამ თავის კულმინაციურ წერტილს მიაღწია. მათ თავიანთ უკანასკნელი გამოსვლით დროებითი მთავრობა ჩამოაგდეს, პეტროგრადის მუშების ერთი ნაწილისა და საგარნიზონო ჯარების დახმარებით ძალა უფლება ხელში ჩაიგდეს და მით პროლეტარიატის დიქტატურა გამოაცხადეს. პროლეტარიატის მიერ მთელი ძალა უფლების ხელში აღებას ისინი დიდი ხანია მთავარ საკითხათ აყენებდნენ და ყოველ რევოლუციის ხანაში მას ქადაგებდნენ აღიარებდნენ. ჯერ ისევ 1905 წლის რევოლუციის დროს პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება დღევანდელმა ბოლშევიკმა ტროცკიმ საქვეყნოთ აღიარა და ამ კითხვას „მთელი გამოკვლევაც" კი უძღვნა. 1906 წ. ტროცკიმ კარლ მარქსის ცნობილ წიგნაკს „პარიზის კომუნას" ვრცელი წინასიტყვაობა გაუკეთა და ამ წინასიტყვაობაში იგი მარქსსა და ენგელსს, რომის პაპსა და ლუტერს გვაფიცებდა, რომ დადგება დრო, როცა პროლეტარიატის დიქტატურა უნდა გამოცხადდეს და მთელი რუსეთის საზოგადოებრივი და ეკონომიური ურთიერთობა სოციალისტურათ უნდა გადაკეთდესო. თავისი უტოპიური შეხედულების დასამტკიცებლათ იგი მარქს ენგელსის ნაწარმოებში თავისებურ ექსკურსიას აკეთებდა და იქიდან ციტატები-ციტატებზე მოყავდა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების დროის შესაფერ აქტათ აცხადებდა. მან მაშინაც, ე. ი. 1905—1906 წ. რუსეთის რევოლუცია პერმანენტულ—განუწყვეტელ რევოლუციათ გამოაცხადა და სოციალისტური რევოლუცია ქვეყანას აუწყა.

მაშინაც მარქსისტები ტროცკის უტოპიას საჯაროთ აკრიტიკებდნენ, შეურყეველ საბუთებით უმტკიცებდნენ, რომ რუსეთის ამ დროის ეკონომიური პირობები სრულიადაც არ მიი-

თხოვს პროლეტარიატის მიერ ძალა-უფლების ხელში ჩაგდებას, მაგრამ „ღირსშეუპოვარი მარქსისტი“ მაინც თავისას გაიძახოდა. ტროცკის უჯიჯობა მხოლოდ რეალურმა სინამდვილემ გასტეხა. 1905—1906 წლის რევოლიუციის მსვლელობამ სოციალიზმის მაგიერ რუსეთში გრ. ვიტეს „კონსტიტუცია“ დაამყარა რუსეთის 1905 წლის რევოლიუციის შემდეგ მთელს ევროპაში რამდენიმე წლის შემდეგ საერთაშორისო ურთიერთობაში შავბნელი რეაქცია გაბატონდა. კაპიტალისტთა კლასების იმპერიალისტური პოლიტიკა გაძლიერდა და 1914 წელს ამის შედეგათ მსოფლიო ომმა იფეთქა.

და აი ამ მსოფლიო ომის მიწურულში—წარმოუდგენელმა ეკონომიურმა და პოლიტიკურმა მდგომარეობამ ისედაც შევიწროვებული რუსეთის ხალხი მოთმინებიდან გამოიყვანა და უკანასკნელმა აბსოლიუტური წყობილება „პირისაგან მიწისა“ აღგავა. თუ არ მსოფლიო ომი, რუსეთის დემოკრატიას კიდევ კარგა ხანს მოუხდებოდა შავბნელ რეაქციონურ პირობებში ცხოვრება და მონარქიული წყობილება კიდევ დიდ ხანს იმძვინვარებდა.

ამ ათი-თხუთმეტი წლის წინათ კარლ კაუცკი თავის წიგნაკ „სოციალურ რევოლიუციაში“ ხაზ გასმულათ ამბობდა: საფრანგეთის იმპერატორ ლუი ბონაპარტე მესამის ბატონობა საგარეო ომმა დაამხო და რუსეთის იმპერატორ ნიკოლოზ მეორის ბატონობასაც საგარეო ომი მოუღებს ბოლოსო. და მართლაც მსოფლიო ომის სიდუხჭირემ რუსეთის რევოლიუცია დააჩქარა და ნიკოლოზის ბატონობას ბოლო მოუღო.

მაგრამ აბსოლიუტური წყობილების დამხობა და თუნდაც დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებაც ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ რუსეთში საწარმოვო ძალთა განვითარება, ობიექტიური პირობები, კლასობრივი დიფერენციაცია იმ ზომამდის იყოს განვითარებული, რომ აქ პროლეტარიატმა და ღარიბ-ღატაკებულმა გლეხ-კაცობამ თავის ბატონობა გამოაცხადოს და საზოგადოებრივი ურთიერთობა სოციალისტურათ გარდაქმნას.

მართალია 1905 წლიდან რუსეთის საწარმოვო ძალთა განვითარების პროცესში დიდი ცვლილება მოხდა, კაპიტალისტური წარმოება განვითარდა, მაგრამ კლასობრივი დიფერენციაცია მაინც ევროპის დაწინაურებულ სახელმწიფოებთან შედარებით დიდათ დაშორებულია. ამ ჟამათ რუსეთში 170 მილიონ მცხოვრებიდან 150 მილიონი სოფლებშია, ხოლო 24 მილიონი კი ქალაქებში. სოფლის მცხოვრებთა 95 პროცენტი წვრილი და საშუალო გლეხ-კაცობაა, რომლებიც მიწას ესწრაფიან და რომლებიც ასე მედგრათ მხარს უჭერენ რევოლიუციის მეთაურ პროლეტარიატს. როცა უკანასკნელი მათ მისცემს მიწას და თავისუფლებას, გლეხკაცობა შეუდგება ჩვეულებრივ ცხოვრებას. და სრულიადაც არ მოისურვებს სოციალისტური წარმოების დამყარებას. ასე რომ ტროცკის მიერ წამოყენებული პერმანენტიული რევოლიუცია, ე. ი. განუწყვეტელი რევოლიუციის პროცესი მათთვის მისაღები არ იქნება და ცხადია არც პროლეტარიატს გაჰყვებიან ამ გზით.

განა მარქსი—ჩვენი უდიდესი მასწავლებელი—არ გვასწავლიდა, რომ თითოეული სოციალური წყობილება ახალ საზოგადოებრივ ურთიერთობას ადგილს უთმობს მხოლოდ მაშინ, როცა პირველი წინასწარ მთელი თავისი შინაარსით ჟამს მოსჭამს და თანდაყოლილ ტენდენციას მაქსიმუმამდის მიიყვანს. ნუთუ ტროცკი-ლენინებს ჰგონიათ, რუსეთის კაპიტალიზმა თავის განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია და სუბიექტიური და ობიექტიური პირობები პროლეტ. დიქტატურისათვის უკვე დამწიფებულია? ნუ თუ ბოლშევიკებს ჰგონიათ, რომ საწარმოვო ძალთა-განვითარება, კაპიტალის კონცენტრაცია უმაღლეს ხარისხამდე არის ასული? სად არის ეს მაქსიმუმი? რომელია ამის ობიექტიური ნიშნები?

არსად, არც ერთს სინამდვილეში. და თუ ბოლშევიკების ლიდერებს და მათ ამყოლ-დამყოლთ იგი სინამდვილეთ მიაჩნიათ—ეს მხოლოდ მათი ბლანკისტური ფანტაზიის ნაყოფია და სხვა არაფერი. ამ ჟამათ თუ ბოლშევიკებმა პეტროგრადში და ზოგიერთ ქალაქებში თავი ბატონ პატრონათ გამოაცხადეს,—ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ მათი ბატონობა ხანგრძლივი იქნება. პარიზის კომუნამ სამ თვემდე იარსება, მხოლოდ არ ვიცით, რამდენ ხანს იბატონებენ პეტროგრადის ბოლშევიკები. ერთი კი აშკარაა, რომ ბოლშევიკების მიერ ძალა უფლების უდროვოთ ხელში ჩაგდება არ ნიშნავს პროლეტარიატის დიქტატურას. იგი, როგორც ენგელსი ამბობდა, პროლეტარიატისათვის უდიდეს ბოროტებათ გადაიქცევა, რომ მას დიდ ისტორიულ უბედურებას თავს მოახვევს და მით მთელ რევოლიუციას დიდ საფრთხეში ჩააგდებს. მაგრამ ჩვენ ვიმედოვნებთ, რუსეთის შეგნებული პროლეტარიატი და ფართო დემოკრატია მათ ანკესზე არ წამოეგება და მით პროლეტარიატის უდროვო დიქტატურას საიმედოთ არ ჩასთვლის. დღეს პროლეტარიატის დიქტატურის ილიუზიებით ტროცკები და ლენინები იკვებებიან და ეს მათ სამდროვო რწმენას შეადგენს. დიდი ნაწილი დემოკრატიისა და პროლეტარების მას უტოპიათ აღიარებენ და უარყოფით შეხვდებიან.

მხოლოდ ამაში გამოჩნდება პოლიტიკური სიწიფე მუშათა მოწინავე რაზმის და ეს იხსნის რევოლიუციას განსაცდელისაგან.

ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲨᲐᲠᲐᲓᲔᲑᲘ

ამ სათაურით „ნ. ჟ.“ მოთავსებულია სტ. ვოლსკის შემდეგი წერილი:

შვიდი თვის უკან ე. ი. რევოლიუციის დასაწყისში, ლენინი თავის „თეზისებში“ ამტკიცებდა, რომ რუსეთი ჯერ კიდევ არ არის მომწიფებული სოციალიზმისათვის, რომ სოციალისტური გადატრიალება შეიძლება დაიწყოს მხოლოდ დასავლეთში. სანამ ეს არ მომხდარა, ჩვენ უნდა შევქმნათ გარდამავალი სახელმწიფო, რაც ახალ წყობილებაში გადასასვლელად მომამზადებელი საფეხური იქნებაო. საბჭოთა ყრილობაზე კი ლენინმა ეს „თეზისები“ ყირამალა დააყენა. მან განაცხადა, რომ მორიგი საკითხია პროლეტარული სახელმწიფოს შექმნაო. პროლეტარული სახელმწიფოს შექმნა იმ ქვეყანაში, სადაც მცხოვრებთა 4/5 ნაწილი გლეხობაა, უფრო ჩინურ ამოსაღებს მოგვაგონებს, ვიდრე პოლიტიკურ მიზანს. ლენინის ეს ახალი ლოზუნგი გაუგებარი იქნებოდა, რომ ზინოვიევს და ტროცკის არ განემარტათ საქმის შინაარსი. ტროცკიმ ეს ახალი წყობილება ასე განმარტა: „ეს მუშათა და ჯარისკაცთა რეჟიმის დამყარებაა, რაც საუკეთესოდ უზრუნველყოფს ხალხის ინტერესებსო“. ზინოვიევმა კი გადაჭრით სთქვა: „ამ ჟამად იწყება სოციალისტური რევოლიუციაო“. თუ შევუთანხმებთ ამ ორ განმარტებას ერთმანეთს, მივიღებთ შემდეგ ფორმულიროვკას: რუსეთში ამ ჟამად ხდება სოციალისტური რევოლიუცია და მას ანხორციელებენ უმთავრესად მუშები და ჯარის კაცები.

ეს არის მარცხენა ფრთის ბოლშევიზმის ლოზუნგი, რამაც ლენინის „გარდამავალი სახელმწიფო“ შესცვალა; უნდა მიღებულ იქნას სახეში, რომ ახლა ისეთი დამაბრკოლებელი მიზეზები, როგორიცაა რუსეთის ეკონომიური ჩამორჩენა, მასსის უკულტურობა, კარგი ტეხნიკური აპარატის უქონლობა და სხ. თითქო ახლა აღარ არსებობენ, თუმცა 7 თვის წინეთ ყველა ამ მიზეზებს, როგორც მწარე სინამდვილეს, ბოლშევიკები იცნობდენ და მათ ანგარიშს უწევდენ. ამ შვიდი თვის განმავლობაში რა მოხდა ისეთი, რომ შეიცვალა, გარდაიქმნა რუსეთის სახელმწიფოს ეკონომიური მდგომარეობა, თუ ეს ცვლილება მოხდა მხოლოდ ბოლშევიკების აზროვნებაში? ხალხის მეურნეობის არც ერთი თვალსაჩინო ცვლილებაზე ლაპარაკიც არ შეიძლება. რიცხვითი დამოკიდებულობა სოფლის და ქალაქის მცხოვრებთა იგივე დარჩა. მრეწველობა არ აყვავებულა, პროლეტარიატის საერთო რიცხვს არ მომატებია. კერძო მესაკუთრე გლეხები არ გამქრალან დედამიწის პირიდან, ასეული ქონების პატრონი გლეხობა არ გამხდარა მოჯამაგირეებათ და არც მოჯამაგირენი გამხდარან სოციალისტებათ. ერთი სიტყვით, ჩვენს სოციალურ სტრუქტურაში არ მომხდარა არავითარი კატასტროფული ნახტომი. და რახან ეს ასეა,—ამიტომ მცხოვრებთა ამ ჯგუფების ინტერესები იგივე დარჩა, რაც წინეთ იყო. და ის აღფრთოვანება, რომლითაც გლეხები ხვდებიან მემამულეთა მთელი მიწების კომიტეტების ხელში გადასვლას, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ ეს გლეხები სოციალისტები არიან, არამედ—მათ სურთ თავიანთ საკუთრებას კიდევ რამდენიმე დესიატინა მიუმატონ და ასე, საკუთრება შემოარგვალონ. მაგრამ ასეთი წვრილ ბურჟუაზიული კანონიერი სურვილი ხომ ისე შორს არის სოციალიზმისაგან, როგორც ცა დედამიწისაგან. ჩვენი სახალხო მეურნეობის საერთო მდგომარეობა არ შეცვლილა. ისედაც უძლური, ის კიდევ უფრო გამოიფიტა. ჩვენ გავღარიბდით როგორც სოფლის მეურნეობაში, ისე ქალაქის წარმოებაში; გადასატან-გადმოსატანი საშუალებები შემცირდა, საკვები მასალაც მოგვაკლდა. ამას გარდა, ქაღალდის ფულის შეუჩერებელივ მოჭრა-გამოშვებამ ერთიახად დაასამარა ჩვენი საქონლის გაცვლა-გამოცვლა საზღვარ გარეთ და ასევე გვემუქრება შიგნითაც. სხვა ნაირად რომ ვთქვათ, გასული 7 თვის განმავლობაში ჩვენ დიდათ ჩამოვრჩით კულტურულ დასავლეთს, მიუხედავათ ომის მთელი საშინელებისა მაინც კარგათ შეკავშირებული აღმოჩნდა ორგანიზაციულად ეს დასავლეთი. შეიძლება ამ ხნის განმავლობაში შევეჩვიეთ საქმიან მუშაობას, ვისწავლეთ, თუ როგორ ვებრძოლოთ ტრანსპორტის, სასურსათო და სხ. არევ-დარევას? შეიძლება კიდეც შევქმენით კარგი სამეურნეო აპარატი. მაგრამ, სამწუხაროთ, არა! ქალაქი, ისე სოფელი, ცენტრი თუ განაპირა ადგილები მუდამ იმას გაიძახიან, რომ არა გვყავს ძალები, არ არიან ორგანიზატორებიო. რამდენათაც უფრო საძნელო ხდება ჩვენი მდგომარეობა, იმდენათ უფრო ნაკლებია მსურველი, რომ ამ არევ დარევის წინააღმდეგ იბრძოლოს.

ასეთი სამწუხარო დასკვნა შეიძლება გაუკეთოს ადამიანმა ჩვენს შვიდი თვის ცხოვრებას. თუ ჩვენ მეცნიერული სოციალიზმის ნიადაგზე დავდგებით და მის განსახორციელებლათ ვაღიარებთ ჯერ ერთი—საკმარისად განვითარებულ მეურნეობას, მეორე—შესაფერად მომზადებულ ტეხნიკურ აპარატს, აღმოჩნდება, რომ შვიდი თვის რევოლიუციამ ყოველივე ნიადაგი გამოაცალა დაუყოვნებლივ სოციალისტური რევოლიუციის მოხდენას. და სწორედ ეს მომენტი იქნა ამორჩეული რუსეთის სოციალისტურ ქვეყნათ აღიარების პირველობაში.

დასავლეთი—მომზადებული, კულტურული დასავლეთი, მშვიდათ თვლემს იმპერიალიზმის რკინის ქუსლებს ქვეშ. ხანდახან ძილში რაღაცას წაიბუტბუტებს. ეს სადათას ძილი, ეს ხმლით და ტყვიით განმტკიცებული მონობა ჩვენში აჯანყებათ სახელდება, ზოგჯერ მომხდარი მცირე ხნით აფეთქებანი კი,—ჩვენში მიაჩნიათ მსოფლიო რევოლიუციის დასაწყისად. აღმოსავლეთი წვალობს, სტიქიური, ხალხის სასოწარკვეთილი ღელვება ესეც არის ემუქრება თავისუფლების ცეცხლის ჩასაქრობათ. ჩვენ კი გვარწმუნებენ, რომ სწორეთ ამ აღმოსავლეთიდან მოდის სინათლე და რუსეთს და არა სხვა, რომელიმე ქვეყანას არგუნა ბედმა სოციალისტური რევოლიუციის დაწყებაო. და როცა ასეთი მდგომარეობიდან გამოსავალი მთელი რევოლიუციონური დემოკრატიის ძალების გაერთიანებაშია, ბოლშევიზმის პასუხისმგებელი ბელადები კიდევ უფრო ავიწროვებენ წრეს და ამით თავიანთ თავს ანცალკევებენ მათზე უფრო მარჯვნით მდგომ ჯგუფებისაგან. პროლეტარიატს მოუწოდებენ ახლავე ახალი ქვეყნის შესაქმნელად. როგორ უნდა მოეწყოს ეს ახალი ქვეყანა? როგორც ტროცკი ამბობს—„ეს მუშის და ჯარისკაცის რეჟიმია“.

რაგვარი ტეხნიკური აპარატით სურთ მოაგვარონ ამ უდიდესი, 180 მილიონიანი მცხოვრები ქვეყნის სამეურნეო ცხოვრება? ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების კონფერენციამ აღიარა, რომ ეს შესაძლებელია მეურნეობის სახელმწიფოებრივათ მოწესრიგებით და მუშათა წარმომადგენლების სახით კონტროლის დაწესებითო. ვისი შეწევნით სურთ ამის განხორციელება? საქმის პრაქტიკულათ დაყენების ნაცვლად ლენინი ასეთ ფრაზას ისვრის: „მუშები და გლეხები ახლავე უნდა შეუდგენ იმის სწავლას, თუ როგორ უნდა მართვა-გამგეობაო“. დაბრძანდით, რა არის ეს: პოლიტიკა თუ მომზადება, რევოლიუციური მთავრობა, რომელმაც წინასწარ დაისახა მოქმედების გეგმა, მთავრობა თუ სახელმწიფო უფლების სკოლა—თუ ეს უბრალო თვალ გადაუწვდენელი ზღვაა სიტყვიერებისა?

სოციალური ცდა პოლიტიკური აღზრდის სკოლაა, ადგილობრივი რუსეთის სოციალიზმი ეს მეტის-მეტად საინტერესო საპატიო თემაა.

სამწუხაროდ, დამშეული ფრონტის, დამშეული „ზურგის“ უსაქონლობით დასუსტებული სოფლის ნუგეშის ცემა არ შეიძლება იმით, რომ მათზე ვახდენ ერთნაირ ცდას, ისეთ ცდას, რომელიც გლეხთა ქვეყანას, ასეთი სისწრაფით აქცევს პროლეტართა ქვეყანას! მათ სიტყვიერ მაზალა კი არ სჭირდებათ, არამედ—საქმე, მტკიცე, ჭეშმარიტი-დემოკრატიული პოლიტიკა რუსეთის ეკონომიურათ გაჯანსაღებლათ. ასეთი პოლიტიკის საწარმოებელი პროგრამის კი ბოლშევიკთა ბელადებისაგან ჩვენ არა გვსმენია რა. ჩვენ მათგან ჯერ ჯერობით არა გვსმენია რა გარდა პოლიტიკური შარადებისა.

ᲞᲔᲢᲠᲝᲒᲠᲐᲓᲘᲡ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

(პეტრ. დეპ. სააგენტო)

14 ნოემბერი.

კიევი. უკრაინის ჯარების გენერალურმა კომიტეტმა კიევის სამხედრო ოლქის უფროსათ დანიშნა პოლკოვნიკი პავლენკო.

კიევის სამხედრო ოლქის სარდალი გენერალი კვეცინსკი და ოლქის კომისარი კირიენკო დააპატიმრეს.

უკრაინის ცენტრალურმა რადამ დაამტკიცა პროექტი, რომლითაც უკრაინას შეუერთდენ ხერსონის, ეკატერინოსლავის, ხარკოვის, ხოლმის გუბერნიები და თავრიდის, კურსკის და ვორონეჟის გუბერნიების ნაწილები. გენერალურ სეკრეტარიატს მიუმატეს შემდეგი კომისარები—სასურსათო, შრომის, სამოსამართლო, სამხედრო, ვაჭრობა-მრეწველობის და მიმოსვლის.

სრულიად რუსეთის საერთო ყაზახთა საფრონტო ყრილობა, პეტროგრადის ამბების გამო, გადატანილ იქნა ნოვოჩერკასკში.

კიევის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტის თავ-ჯდომარემ, ბოლშევიკმა პიატაკოვმა სახალხო კომისართა საბჭოს რადიო-ტელეგრამით აცნობა, რომ კიევში ბოლშევიკებმა გაიმარჯვეთო. დეპეშაში ის აღნიშნავს—„ჩვენ მოგვიკლეს 9 კაცი, იმათ კი—დაახლოვებით 400-ი.

კოსოვოდან გაანთავისუფლეს 10 ივლისს დაპატიმრებული პოლუბოტკოველი ჯარის კაცები. უკრაინის პოლკების ეშელონები მოდიან. ყველა დაწესებულებებს, მათ შორის ტელეგრაფსაც, უკრაინის ჯარები იცავენ. კიევიდან მოსკოვსა და პეტროგრადს შორის ტელეგრაფი აღდგენილი არ არის. დაუბრკოლებლივ მუშაობს ტელეგრაფი მხოლოდ კიევსა და ოდესას შორის. დღეს ყველა გაზეთები გამოვიდა, გარდა „კიევლიანინისა“, რომელიც უკრაინელებმა შეაჩერეს. ყველა ბანკებში მუშაობა განახლდა, ქალაქში წესიერება აღდგენილ იქნა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲐ.

(25 ოქტომბრის სხდომის დასასრული).

კამენევი აცხადებს, რომ კომიტეტის წევრებმა ანტონოვმა, ჩუდნოვსკიმ და კოვალევმა საზამთრო სასახლეში დაატუსაღეს დრ. მთავრობის წევრები: მინისტრი ვერდერევსკი, მინისტრთა თავმჯდომარის მოადგილე კონოვალოვი, მზრუნველობის მინისტრი კიშკინი, მიწათ-მოქმედების მინისტრი მასლოვი, გზათა მინისტრი ლივეროვსკი, იუსტიციის მინისტრი მალიანტოვიჩი, შრომის მინისტრი გვოზდიოვი, სამხედრო საქმეთა მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი გენ. მანიკოვსკი, განათლების მინისტრი სალაზკინი, მზრუნველობის მინისტრი სმირნოვი, შინაგან საქმეთა მინისტრი ნიკიტინი, ფინანსთა მინისტრი ბერნაცკი, სარწმუნოების მინისტრი კარტაშევი, გარეშე საქმეთა მინისტრი ტერეშჩენკო და ტრეტიაკოვი. მთავრობასთან ერთათ დაატუსაღეს მონდობილობათა გენერალი ბორისოვი, გენერალ-გუბერნატორის თანაშემწენი პალჩინსკი და რუტენბერგი. საზამთრო სასახლესთან მყოფ ოფიცრებსა და იუნკრებს იარაღი აჰყარეს. საზამთრო სასახლის კომენდანტათ დაინიშნა ჩუდნოვსკი.

სოციალისტ-რევოლიუციონერების წარმომადგენელი აცხადებს, რომ არ არის დასაშვები სოციალისტ-მინისტრების დატუსაღება, რაზედაც ტროცკიმ უპასუხა: არ არის საჭირო მათთან ბოდიში, ვინაიდან თავის დროზე ისინიც ბევრს არ ებოდიშებოდენ ჩვენს ამხანაგებსო. ცარსკოე სელოს კომისარი აცხადებს: მთელი ცარსკოე სელოს გარნიზონი იცავს პეტროგრადში შემოსავალ გზებს, მას შეუერთდა პეტროგრადისაკენ მომავალი მე-5 „სამოკატნი“ ბატალიონი. მე 3 „სამოკატნი“ ბატალიონის წარმომადგენელი ამბობს: „სამოკატჩიკები“ სამხრეთ-დასავლეთის ფრონტიდან გამოიწვიეს პეტროგრადის დასაცავათ. მათ არ იცოდენ პირველათ რაში იყო საქმე, მაგრამ როცა გაიგეს ნამდვილი მიზეზი მათი გამოწვევისა, ყველამ ერთხმათ გადასწყვიტა არ წავიდეს ძმების წინააღმდეგ, არ დაიღვაროს ძმის სისხლი. ჩვენ არ დავიცავთ დრ. მთავრობას და არ მივსცემთ ძალა-უფლებას ისეთ მთავრობას, სადაც სხედან ბურჟუებისა და მემამულეების წარმომადგენლებიო.

მენშევიკ-ინტერნაციონალისტებმა მიატოვეს ყრილობა, ვინაიდან მათი წინადადება,—მშვიდობიანი გზით მიეღწიათ ბოლო კონფლიქტისათვის,—უარყვეს.

კამენევი წინადადებას იძლევა შეუდგენ მუშების, გლეხების და ჯარისკაცებისადმი მოწოდებით მიმართვის საკითხის განხილვას. ამ წინადადების კენჭის ყრის დროს მენშევიკ-ინტერნაციონალისტ. თავს იკავებენ, ვინაიდან ყრილობაზე არ არის წარმოდგენილი მთელი დემოკრატია. თავს იკავებენ ებრაელთა სოციალისტურ პარტიის წარმომადგენლებიც, საბჭო არ არის პასუხისმგებელ ძალა-უფლებით აღჭურვილიო. უკრაინელთა წარმომადგენელი აცხადებს, დეკლარაციაში უნდა აღინიშნოს უკრაინის ავტონომია და მხოლოდ ასეთ შემთხვევაში დაუჭერს მხარს უკრაინა საბჭოს მთავრობასო. დეკლარაცია მიღებულ იქნა ყველა ხმებით 2 წინააღმდეგ, 12 თავი შეიკავა. კრილენკო აცხადებს, რომ ჩრდილოეთის ფრონტის სამხედრო რევოლიუციონური კომიტეტი არ წავა პეტროგრადის მ. და ჯ. დეპ. საბჭოისა და სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის წინააღმდეგო. ჩრდილოეთ ფრონტის კომიტეტს კამენევის წინადადებით ეგზავნება მისალმების დეპეშა. ლაპინსკი აცხადებს, რომ პოლონეთის სოციალისტური პარტიის წარმომადგენლები იმუშავებენ ყრილობის წევრებთან ერთადო.

სხდომა დილის 6 საათზე დაიხურა.

(26 ოქტომბრის სხდომა).

სხდომის გახსნისას თავმჯდომარე კამენევი ასახელებს სამხედრო-რევოლიუციონურ კომიტეტის მიერ მიღებულ შემდეგ ზომებს: სიკვდილით დასჯის გაუქმება, პოლიტიკურ საქმეთა გამო დატყვევებულ ჯარისკაცთა განთავისუფლება, გლეხთა სადგილ-მამულო კომიტეტის დატყვევებულ წევრთა განთავისუფლება; მიღებულია აგრეთვე ზომები კერენსკის შესაპყრობათ. ამის შემდეგ ებრაელთა გაერთიანებულ სოციალისტურ პარტიის წევრები სტოვებენ ყრილობას. მენშევიკ ინტერნაციონალისტთა მხოლოდ ნაწილი რჩება ყრილობაზე, მაგრამ ძალა-უფლების საბჭოს ხელში გადასვლის წინააღმდეგ აძლევენ ხმას. ამის შემდეგ ლენინი კითხულობს ყველა მებრძოლ ქვეყნების ხალხისადმი მიმართვის პროექტს*) ზავის წინადადება, რომ წინააღმდეგობას გამოიწვევს იმპერიალისტების მხრით, ჩვენ ამაზე თვალს არ ვხუჭავთ, სთქვა ლენინმა, მაგრამ ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა ქვეყნებში გამოვიწვევთ რევოლიუციას, რუსეთის 24 და 25 ოქტომბრის რევოლიუცია—ეს მთელს მსოფლიოში სოციალისტურ რევოლიუციათა დაწყების ხანაა. მუშათა მოძრაობა ზავისა და რევოლიუციისათვის გაიმარჯვებს და გაიკაფავს გზასო—დაათავა ლენინმა. მემარცხენე ს.-რ.-ებმა და უკრაინელებმა ხმა მისცეს მოწოდებას; გაერთიანებულ მენშევიკ ინტერნაციონალისტებმა განაცხადეს, თუმცა ასეთი მიმართვის გამოშვების უფლება აქვს მხოლოდ დემოკრატიულ ბლოკის საფუძველზე აგებულ სრულუფლებიან მთავრობას, მაგრამ, საერთოდ, ჩვენც მივესალმებით მიმართვას და მხარს ვუჭერთ მასო.

საპასუხო სიტყვაში ლენინმა სთქვა: ჩვენ გვინდა სამართლიანი ზავი და არ გვეშინია რევოლიუციონური ომისა. ჩვენ ვაცნობებთ ყველაფერს, რომ მოვითხოვოთ ზავი და გავიგოთ ყველა საზავო პირობები, რომელიც სურთ მეომარ ქვეყნებს. ჩვენ აზრათ გვაქვს მხოლოდ განვიხილოთ ეს პირობები, ომის დროებით შეწყვეტის წინადადება მივცემთ ყველა ქვეყნებს დაუყოვნებლივ. დროებით ზავისთვის დიდი დრო იმისთვის დავნიშნეთ, რომ ხალხთა წარმომადგენლებმა შესძლონ ზავის პირობების შემუშავება. მიმართვა ერთხმად იქნა მიღებული. დელეგატები წამოდგენ და ინტერნაციონალი იმღერეს. შემდეგ შეუდგენ მიწის საკითხის განხილვას. ლენინმა წარმოადგინა პროექტი, რომლის თანახმად მთელი მიწა გადადის სადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში გამოუსყიდავათ, ისპობა სავსებით კერძო საკუთრება მიწაზე. მემამულეთა მიწების გარდა სადგილ-მამულო კომიტეტების განკარგულებაში გადადის მონასტრების, საუფლისწულო და სხვა მიწები მთელი ინვენტარით. ყაზახებს და საშუალო გლეხებს მიწა არ ჩამოერთმევათ. სადგილ-მამულო კომიტეტების გარდა მიწების განაწილების საქმეს ადგილობრივ განაგებენ სამაზრო მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. სახელმწიფო მიწებში გლეხები იჯარას გადაიხდიან ხაზინის სასარგებლოთ. აგრარული რეფორმა უნდა განხორციელდეს, როგორც დროებითი ზომა დამფუძნებელ კრების მოწვევამდე.

ლენინის გამოსვლის შემდეგ გლეხთა დეპუტატების საბჭოთა აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელი სასტიკ პროტესტს აცხადებს სოციალისტ მინისტრების მასლოვისა და სალაზკინის დატუსაღების წინააღმდეგ. მის საპასუხოთ ტროცკი ამბობს, რომ სოციალისტ მინისტრების პირობით განთავისუფლების საკითხი ჯერ კიდევ გუშინ გადაიჭრა დადებითად და თუ ჯერ კიდევ არ განუთავისუფლებიათ ისინი, ამის მიზეზი აუარებელი სამუშაოა და უბრალო გაუგებრობაო.

(27 ოქტომბრის სხდომა).

აგრარულ რეფორმის კანონპროექტი მიღებულ იქნა 1 წინააღმდეგ, 8 თავი შეიკავა. დეზერტირებისთვის მიწის მიცემის საკითხი გადაეცა განსახილველად ახალ მთავრობას.

ამის შემდეგ ყრილობა გადადის მთავრობის შედგენის საკითხზე. ვრცელ სიტყვას ამბობს გაერთიანებულ სოციალ დემოკრატ. ინტერნაციონალისტების წარმომადგენელი ავილოვი. მისი აზრით დროებითი მთავრობის დაცემა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ მან ვერ მისცა ხალხს ვერც პური და ვერც ზავი. დემოკრატიის მემარცხენე ნაწილი მხოლოდ მაშინ გაიმარჯვებს, თუ შესძლებს ამ ორ საკითხის გადაჭრას. მაგრამ, როგორც ხალხის პურით უზრუნველ ყოფის საქმეს, ისე ზავის ჩამოგდების დროს მეტად ძნელი დაბრკოლებანი ელობება წინ, ყველა ამ დაბრკოლებათა გადალახვას, ქვეყნისათვის პურისა და ზავის მიცემას და რევოლიუციის მოპოებათა დაცვას შესძლებს მხოლოდ ხალხის უმრავლესობა, თუ იგი გაერთიანდება, ამ მიზნების მისაღწევათო. ავილოვის მიერ წამოყენებული რეზოლიუცია მოითხოვდა დროებითი აღმასრულებელ კომიტეტის შედგენას ყრილობაზე მომუშავე რევოლიუციონურ დემოკრატიის ჯგუფთა შორის შეთანხმებით მთავრობის შესადგენათ. ამ რეზოლიუციას კენჭი უყარეს ყრილობის ბიუროს მიერ წარდგენილ რეზოლიუციის მიღების შემდეგ. მას ხმა მისცა დაახლოვებით 150 წევრმა. მემარცხენე ს.-რების უარი განაცხადეს სამინისტროში შესვლაზე, ეს დააშორებდა დემოკრატიის იმ ნაწილს, რომელიც არ იღებს მონაწილეობას ყრილობის მუშაობაში და ამით წაგვერთმევა საშუალება, გვეწარმოებია მათთანა და ბოლშევიკებს შორის მოლაპარაკება. ისინი მოითხოვენ მთავრობის შედგენას რევოლიუციონურ დემოკრატიის ყველა ძალთა გაერთიანების საფუძველზე. ტროცკი უპასუხებს: წმინდა ბოლშევიკური მთავრობის მოწინააღმდეგეებს. დროებითი მთავრობა, რომ ასე სისხლის დაუღვრელად გადმოვაგდეთ, ეს იმის მაჩვენებელია, რომ ჩვენ კი არა ვართ განცალკევებული, განცალკევებული აღმოჩნდა თვით დროებითი მთავრობა და ის დემოკრატიული პარტიები, რომლებიც ჩვენს წინააღმდეგ მოდიოდენ. ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ მუშების, ჯარისკაცების და ღატაკი გლეხების კოალიცია. კაპიტალისტური ევროპა საფრთხეს უმზადებს რევოლიუციონურ რუსეთს. ან რუსეთის რევოლიუცია გამოიწვევს ევროპაში მოძრაობას, ან ევროპის ძლიერი სახელმწიფოები გაანადგურებენ რუსეთის რევოლიუციასო.

რკინის გზათა კავშირის წარმომადგენელი აცხადებს, რომ კავშირი ვერ დაუჭერს მხარს ისეთ მთავრობას, რომელიც მხოლოდ ერთ პარტიაზე იქნება დაყრდნობილი. მთავრობა უნდა იყოს რევოლიუციონურ სოციალისტური და რევოლიუციონური დემოკრატიის უფლებებით აღჭურვილ ორგანოთა წინაშე პასუხისმგებელიო. ხმის დიდი უმრავლესობით მიღებულ იქნა მთავრობის შედგენის შესახებ ბოლშევიკების შემდეგი წინადადება: „მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობამ დაადგინა: დამფუძნებელ კრების მოწვევამდე ქვეყნის მართვა გამგეობისათვის შექმნას მუშათა და გლეხთა დროებითი მთავრობა, რომელსაც ეწოდება სახალხო კომისართა საბჭო. სახელმწიფოებრივ ცხოვრების თვითოეულ დარგს განაგებენ კომისიები, რომელთა შემადგენლობა უნდა უზრუნველს ყოფდეს ყრილობის მიერ მიღებულ პროგრამის ცხოვრებაში გატარებას მუშათა, მატროსების, ჯარისკაცთა, გლეხთა და მოსამსახურეთა მასსიურ ორგანიზაციებთან ერთად. მთავრობის ძალა-უფლება ეკუთვნის ამ კომისიათა წარმომადგენლების კოლეგიას;

---

*) ეს მიმართვა დაიბეჭდა ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში. „ზავის შესახებ დეკრეტის“ სათაურით.

ვ. ი. სახალხო კომისართა საბჭოს. კომისართა მოქმედების კონტროლის და მათი გადაყენების უფლება ეკუთვნის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოთა სრულიად რუსეთის ყრილობას და მის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტს. ამ ჟამად სახალხო კომისართა საბჭო შესდგება შემდეგი პირებისაგან: საბჭოს თავმჯდომარე ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი), სახალხო კომისარი შინაგან საქმეთა ა. ი. რიკოვი, მიწათ-მოქმედების ვ. პ. მილიუტინი, შრომის ა. გ. შლიაპნიკოვი, სამხედრო და საზღვაო საქმეებს სათავეში უდგას კომიტეტი, რომელშიაც შედიან ვ. ა. ავსეენკო (ანტონოვი), ნ. ვ. კრილენკო და ფ. მ. დიბენკო; ვაჭრობა-მრეწველობის ვ. პ. ნოგინი, სახალხო განათლების ა. ვ. ლუნაჩარსკი, ფინანსთა საქმის ნ. ი. სკვორცოვი (სტეფანოვი), გარეშე საქმეთა ლ. დ. ბრონშტეინი (ტროცკი), იუსტიციის გ. ი. ოპპოკოვი (ლომოვი), სასურსათო ი. ა. თეოდოროვიჩი, ფოსტა-ტელეგრაფის ნ. პ. ავილოვი (გლებოვი), ეროვნებათა საქმის თავმჯდომარე ი. ვ. ჯუღაშვილი (სტალინი). რკინის გზათა სახალხო კომისარი ჯერ-ჯერობით არ არის დანიშნული.

დეკრეტი

მიღებული მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს მიერ.

1) მიწებზე მემამულეთა საკუთრება დაუყოვნებლივ უქმდება მიწების სრულიად გამოუსყიდველად.

2) როგორც მემამულეთა მიწები, ისე საუფლისწულო, სამონასტრო და საეკლესიო ყოველგვარი ინვენტარით და ყოველივე შენობებით დამფუძნებელ კრებამდე გადადის სასოფლო მიწების კომიტეტების ხელში.

3) ჩამორთმეულ მამულის გაფუჭება, რომელიც ახლა მთელ ხალხს ეკუთვნის, მძიმე დანაშაულობათ ჩაითვლება და დამნაშავე სასტიკად დაისჯება რევოლიუციონურ სამართლის მიერ. გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭო ღებულობს სასტიკ ზომებს, რომ მემამულეთა მიწების ჩამორთმევის დროს წესრიგი იქნეს დაცული, ის საზღვრავს რამდენი და რომელი მიწა უნდა ჩამოერთვას მემამულეთ და ადგენს ჩამორთმეულ მიწების სიას და საჭირო ზომებს ღებულობს, ყველა ჩამორთმეულ მიწების დასაცავათ.

4) სანამ დამფუძნებელი კრება გადასწყვეტდეს მიწის საკითხს, მიწის რეფორმების განხორციელების საქმეს ხელმძღვანელობას გაუწევს გლეხთა მე-242 ნაკაზის მიხედვით „გლეხთა დეპუტატების სრულიად რუსეთის საბჭოს უწყების" რედაქციის მიერ შემუშავებული და ამ „უწყებების" № 88 ში გამოქვეყნებული ნაკაზი. ამ ნაკაზის მთელი შინაარსი, როგორც რუსეთის შეგნებულ გლეხთა დიდი უმრავლესობის ნება სურვილის გამოხატულება დამფუძნებელ კრებამდე კანონის უფლებას ღებულობს და ცხოვრებაში ტარდება შეძლების და გვარათ დაუყოვნებლივ, ხოლო ზოგიერთ თავის ნაწილებში იმ თანდათანობით, რომელსაც განსაზღვრავს გლეხთა დეპუტატების სამაზრო საბჭო. საშუალო მესაკუთრე გლეხის და ყაზახების მიწები არ ჩამოერთმევათ.

მუშათა კონტროლი.

სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა ფაბრიკა ქარხნების კომიტეტების ცენტრალურ საბჭოს მიერ შემუშავებული კანონპროექტი მუშათა კონტროლის შესახებ. ამ კანონ-პროექტით ყველა სამრეწველო, სავაჭრო, საბანკო, სასოფლო სამეურნეო, კოოპერატივები, მომხმარებელ, საწარმოო და სხვა წარმოებაში, სადაც მუშაობს არა ნაკლებ 5 მუშისა, და მოსამსახურისა ერთად, უნდა შემოღებულ იქნას წარმოებაზე, შემოსავალზე და სანოვაგის და წვრილი მასალის ყიდვა-გაყიდვაზე მუშათა კონტროლი.

მუშათა და მოსამსახურეთა მიერ არჩეულ წარმომადგენლების ნება დაურთველად აკრძალულია წარმოების შეჩერება ან შეცვლა და შემცირება.

მუშათა მიერ არჩეულ წარმომადგენლებისთვის ღია უნდა იყოს ყველა წიგნაკები და დოკუმენტები და აგრეთვე ყველა მასალების, იარაღების და სანოვაგის საწყობები.

მუშათა არჩეულ წარმომადგენლების დადგენილებებს წარმოების პატრონებისთვის სავალდებულო მნიშვნელობა აქვს და შესაძლებელია მისი გაუქმება მთავრობის მიერ, როცა ამის წინადადებას მისცემს მუშათა კონტროლის ცენტრალური დაწესებულება.

მუშათა კონტრ. საქმისთვის არჩეულნი პირნი პასუხისმგებელნი არიან მთავრობის წინაშე წესიერების დაცვაში და ქონების შენახვაში. ვინც განზრახ დაფარავს შენახულ მასალას ან ყალბ ანგარიშებს შეადგენს და სხვ. სასტიკათ დაისჯება, მთელი ქონება ჩამოერთმევა და 5 წლით სატუსაღოში დაამწყვდევენ. ვინც ამ დანაშაულობაში მონაწილეობას მიიღებს და დამნაშავეს ხელს შეუწყობს, დაისჯება 3 წლით სატუსაღოში დამწყვდევით.

ის მწარმოებლები, რომლებიც თავის მოვალეობას დაარღვევენ და საჭირო ზომებს არ მიიღებენ წარმოებაში წესრიგის დასაცავათ და ქონების შესანახათ ერთი თვით დაპატიმრებულნი იქნებიან.

მუშათა კონტროლის ადგილობრივ ორგანოთ ითვლება საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტები, რომლის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე მოსამსახურეთა და ტეხნიკურ დარგის წარმომადგენლები.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტები მოქმედებენ კანონის თანახმათ და ადგილობრივ მუშათა კონტროლის საბჭოს მიერ შემუშავებულ ინსტრუქციის საზღვრებში და თვალყურს ადევნებენ მის ხელ-ქვეით კონტროლის ორგანოებს.

ქალაქების თვითმართველობათა უფლებების გაფართოება.

სახალხო კომისართა საბჭომ მოიწონა ქალაქის თვითმართველობათა უფლებების გაფართოვების შესახებ შემდეგი კანონი:

1) ყოველივე სურსათი, რომელიც ქალაქში მოვა საინტენდანტოს, წითელი ჯვრის, ან სხვა რომელიმე პირის, ან დაწესებულების სახელზე, დღეიდან გადადის ქალაქის განკარგულებაში, რომელიც ანაწილებს მას.

2) ყველა პირნი, ან დაწესებულებები, რომელნიც ქალაქის დამოუკიდებლათ აწარმოებდენ დღემდე სასურსათო საქმეს, დღეიდან ყველაფერი ქალაქის გამგეობებს უნდა ჩააბარონ.

ქვემოთ ჩამოთვლილია, რომ ქალაქის თვითმართველობებს უფლება ეძლევათ ჩამოართვან პატრონებს სავაჭროები, სამრეწველო დაწესებულებები, ჩამოართვან ბინები, შეუძლია უმაღლეს და საშუალო სასწავლებლის უფროს კლასების მოწაფენი ძალათ ამუშაოს სასურსათო საქმეში და სხვ.

დადგენილება დამფუძნებელ კრების მოწვევის შესახებ.

სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1) დამფუძნებელ კრების არჩევნები უნდა მოხდეს დანიშნულ დროს 12 ნოემბერს.

2) ყველა საარჩევნო კომისიებმა, ადგილობრივ თვითმართველობათა დაწესებულებებმა მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა და ფრონტზე ჯარისკაცთა ორგანიზაციებმა ყოველივე ზომა უნდა იხმარონ, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნები წესიერათ და დანიშნულ დროზე მოხდეს.

---

27 ოქტომბერს საგარეო საქმეთა სამინისტროში მივიდა ტროცკი. ის დილიდან ელაპარაკა სამინისტროს მოსამსახურეებს და ბოლოს წინადადება მისცა გადმოეთარგმნათ ყველა ენაზე ზავის შესახებ დეკრეტი. მოსამსახურეებმა მოუსმინეს ტროცკის, შემდეგ წამოდგნენ და ყველანი წავიდნენ. ასეთივე ბედი ეწვია შრომის სამინისტროსაც, ყველა მოსამსახურეებმა სამსახურს თავი დაანებეს, კომისარმა შლიაპნიკოვმა განცხადება გამოსცა და იწვევს მოსამსახურეებს. საბჭოთა მთავრობას განზრახული აქვს გამოსცეს ახალი ოფიციალური ორგანო „მუშათა და გლეხთა მთავრობის უწყებანი".

საბჭოთა მთავრობა აცხადებს, რომ ის გამოსცემს ახალ კანონს ქალაქის თვითმართველობათა უფლებების გაფართოების შესახებ, უკეთუ იგინი ახალ მთავრობას დაემორჩილებიან.

საბჭოთა ყრილობის აღმასრულებელი კომიტეტი შესდგა ასი კაცისაგან. ამათგან ბევრი პროვინციაში დაინიშნა კომისარებათ და უკვე მიდიან თავ თავიანთ ადგილებზე, პეტროგრადში რჩება მხოლოდ 25 კაცი.

ბაქოდან ევ. გეგეჭკორმა გუშინ შემდეგი ცნობა მიიღო: მუშათა, ჯარისკაცთა საბჭოს სხდომაზე გუშინ რასკოლი მოხდა. მენშევიკები, ს.-რევოლიუციონერები და დაშნაკცაკანები გავიდნენ საბჭოდან და ყველა ორგანოებიდან თავიანთი წარმომადგენლები გაიწვიეს. აირჩიეს ბოლშევიკებიდან აღმასრულებელი კომიტეტი და მისმა რწმუნებულმა განახორციელა ძალა უფლების ხელში ჩაგდება. დღეს არავითარი გამოსვლა არ ყოფილა. ღამით შესდგა საზოგადოებრივ დაცვის კომიტეტი მენშევიკების, ს.-რევოლიუციონერების და დაშნაკცაკანთა და ზოგიერთ კავშირის წარმომადგენლებისაგან. ამ კომიტეტმა დღეს გამოუშვა მოწოდება მცხოვრებთადმი. ეხლა ისე მოქმედებას, როგორც ცენტრი გვიგზავნება, ჩემის აზრით, ცუდი შედეგი მოჰყვება. ბოლშევიკებმა უკვე მთავრობათ გამოაცხადეს თავი და დაწესებულებების დაპყრობა ჩვენი მხრით სამოქ. ომს გამოიწვევს, რასაც ჩვენ ყოველი ზომით გავურბით. შეიძლება 4 დღის წინათ ეს შესაძლებელი და მიზან შეწონილი იყო, მაგრამ დღეს პირადათ მე ვფიქრობ, რომ უკეთუ იგინი მხოლოდ მარტო დაწესებულებებში თავიანთ კომისარების დანიშვნით დაკმაყოფილდებიან ძალდაუტანებლათ, ჩვენ აქტიური წინააღმდეგობა არ უნდა გავუწიოთ. მდგომარეობა მეტად გამწვავებულია და დიდი სიფრთხილეა საჭირო. დღეს თითქოს ბოლშევიკები უფრო შეთანხმების გზას დაადგნენ. მაგ. წინადადება მოგვცეს ფოსტის კომისრათ ჩვენი კაცი ს.-რევოლიუციონერი დაგვენიშნა. ყოველ შემთხვევაში, გთხოვთ ცენტრს, რომ მე ვეცდები მოვნახო ცენტრის რწმუნებული ყველა პირნი და მათთან ერთად მოვილაპარაკო ჩვენი მოქმედების შესახებ. შედეგს დაუყოვნებლივ გაცნობებთ. ხურიბოვი აქ არ არის, ის განჯაში წავიდა. არც ცეცი აქ არის თუ არა ათაბეგიანი. მე ყოველ დღე ვიწვევდი ცნობას და ვერ ერთი კვირაა გადის, რაც ვსთხოვ ცენტრს გამოარკვიოს თავისი პოზიცია, მაგრამ ჯერაც პასუხი არ არის. ჯერ კიდევ დაცვის კომიტეტს აქვს სხდომები, რომელთანაც ერთად ჩვენ ვმუშაობთ, რომ მესამე მთავრობა არ შეიქმნას. გარნიზონის იმედი არ არის და შეიარაღებული მუშები და მილიციონერები არ გვყავს. რაც შესაძლებელია გავაკეთებთ და შედეგს ყოველ დღე გაცნობებთ. ვსთხოვ ცენტრს დანიშნოს მოლაპარაკების დრო ან დანიშნულ დროზე მზათ იყოს მოსალაპარაკებლად. თფილისში წამოსვლა არ შემიძლია. უნდა დავრჩე, რასაც გთხოვთ აცნობოთ ამიერ-კავკასიის საბჭოს. გაქვთ რამე ახალი ცნობა პეტროგრადიდან? თუ რამე არის, კარგი იქნებოდა ცენტრს თავის სახელით მიემართა ბაქოს პროლეტარიატის და გარნიზონისთვის არ გაემწვავებიათ მდგომარეობა თავის გამოსვლით, არამედ მოეცადათ დემოკრატიულ მთავრობის შედგენისთვის და ჩვენთვის დაევალებიათ კონფლიქტის მოგვარება. ეს პირადად ჩემი აზრია. რწმუნებულთა კრების შედეგს გაცნობებ. გეგეჭკორი.

ახალი ამბები

საარჩევნო სამზადისი. უკვე დაიწყო საარჩევნო ბიულეტენების დარიგება.

— ბაქოდან და განჯიდან შუამდგომლობა აღძრეს დამფუძნებელ კრების ცენტრალურ საარჩევნო კომისიის წინაშე მოუმზადებლობის გამო არჩევნების გადადების შესახებ. ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ დეპეშით აცნობა მათ, რათაც უნდა დაჯდეს, მოახდინონ არჩევნები 12 ნოემბერს, ვინაიდან კომისიას არ აქვს არჩევნების გადადების უფლება. კომისიას უკვე გაუგზავნია ბაქოში და განჯაში არჩევნებისთვის საჭირო მასალები და მოუწოდებს მათ ყოველივე საშუალებით შეეცადონ, რომ არჩევნები მოხდეს დანიშნულ დროზე.

— ცენტრალურ საარჩევნო კომისიამ მიიღო რამდენიმე ცნობა ამრჩეველთა რაოდენობის შესახებ. ბაქოს გუბერნიაში, ჯევახის მაზრაში, ამრჩეველთა რიცხვი უდრის 9710. იაგჩის მაზრაში—43,151, ზაქათალის ოლქში, ოლებადის რაიონში—6983, ბელოქანის რაიონში—9286, ჯევახის რაიონში—8730, მუხახის რაიონში—58 833, ანმანინის რაიონში—2977, კახის რაიონში—2547, ზაქათალის რაიონში—1088, ქუთაისის მაზრაში—65,000 (ქ. ქუთაისში—34,682), შორაპნის მაზრაში—88,000, ლეჩხუმის მაზრაში 82,000, ზუგდიდის მაზრაში—52,000, რაჭის მაზრაში—30,000, ქ. ფოთში—6,000.

◆ **პურის მცხობლებთა საყურადღებოთ.** ახლად დარიგებულ (მეორე სერიის) პურის ბარათებში სრული დღიური ულუფა ნაჩვენებია თითო ტალონზე. ერთი დღის ულუფა პურის მიცემის დროს უნდა ამოხიოთ ერთი ტალონი. ერთდროულ (разовая) ბარათებში სრული დღიური ულუფა ნაჩვენებია ორ ტალონზე: ერთდროულ ბარათების ტალონები უბრალოთ და დღის რიცხვის აღუნიშნავად მისაღები არაა. ერთდროულ ბარათების ტალონები გამოსადეგია მხოლოდ იმ რიცხვის დღეს, რომელიც ზედვეა აღნიშნული. ყურადღება მიაქციეთ თვის რიცხვებს, რომელიც ტალონებზეა აღნიშნული. ქალაქის სასურსათო გამგეობა.

◆ **შაქრის მოპარვა.** მე 3 კომისარიატის მილიციონერებმა გაიგეს, რომ თფილისის, საგუბერნიო სასურსათო კომიტეტის საწყობიდან (რტიშჩევის ქ.) სისტემატიურათ იტაცებენ ნამალავით შაქარს და აძლევენ გასაყიდათ იმავე სახლის მეეზოვეს თონოიანცს. ამის გამო მე-3 სამილიციო უბნის კომისრის თანაშემწემ ანდრეევსკიმ გაჩხრიკა მეეზოვე თონოიანცის ბინა და იქ მართლაც აღმოჩნდა 2 ფუთ. შაქარი. იქვე დახვდა რამდენიმე პირი როგორც ეტყობოდა შაქრის მყიდველები. ამ უკანასკნელთა ბინაც გაჩხრიკეს და აღმოაჩინეს გასაყიდათ გამზადებული შაქარი. გამოძიებიდან გამოირკვა, რომ შაქრის მოპარვას აწარმოებდა თვით საწყობის გამგე ზველოვი. უკვე დააპატიმრეს ზველოვი და თონოიანცი. გამოძიება გრძელდება.

◆ **კავკასიის კომისარი.** სახალხო კომისართა საბჭომ კავკასიის კომისრათ დანიშნა ბაქოელი ბოლშევიკი ს. შაუმიანი.

◆ **საარჩევნო ფონდი.** მე-2 რაიონის კოლექტივში შემოვიდა დამფუძნებელ კრების ფონდის გასაძლიერებლათ ამხ. კოზმინ დოლიძისაგან კოლექტივიდან გატანილ წიგნაკებით (№№ 12, 36) შეგროვილი 920 მან. ამხ. ო. არველაძისაგან ტრამვაის მუშ.-მოსამსახურეთა შორის შეგროვილი 1800 მან.

◆ **ეროვნულ ინტერპარტიული საბჭო.** საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულმა საბჭომ თავის სხდომაზე 3 ნოემბერს გადასწყვიტა: 1) 19 ნოემბრისთვის მოიწვიოს ერთაჯერადი ყრილობა საქართველოს ყველა პარტიის, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ-ეკონომიურ დაწესებულებების წარმომადგენელთა სახით თავად - აზნაურთა ქონების ჩასაბარებლათა და მოსაგვარებლად და სხვა მიმდინარე საჭირბოროტო საკითხების გადასაწყვეტათ. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა მიენდო ინტერპარტიულ საბჭოს ან აღმასრულებელ კომიტეტს, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა შეუდგეს საქმის მოწყობას. 2) გაიგზავნოს განსაკუთრებული დელეგაცია ეროვნულ ინტერპარტიული საბჭოს სახელით აზნაურ სამურზაყანოელთა 7 ნოემბრისათვის დანიშნულ ყრილობაზე დასასწრებლათ სოხუმში. იმავე დელეგაციას ევალება აგრეთვე ბათუმის ოლქში გამგზავრება ქართველ მაჰმადიანთა დღევანდელი მდგომარეობის გამოსარკვევად და იქური საქმეების მოსაგვარებლად.

◆ **შეცდომის გასწორება.** დამფუძნებელ კრების საარჩევნო ფონდის გასაძლიერებლათ 186 მან. 45 კაპ. შემოვიდა მე-12 და არა მე-11 ლაზარეთის მუშებისაგან, როგორც ეს იყო გამოცხადებული ჩვენი გაზეთის № 185.

კრებები და მიტინგები.

დღეს, საღამოს 6 საათზე, მე-3 შემნახველ-გამსესხებელ ამხანაგობაში, დანიშნულია რაჭა-ლეჩხუმის დამხმარე კომიტეტის წევრთა არაჩვეულებრივი კრება.

— დღეს, დილის 10 ს., თფილისის საკრებულოს შენობაში (მიხეილის პრ. № 73—75) დანიშნულია ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება. დღის წეს რიგი: 1) მომრიგებელ კომისიის მოხსენება ტარიფის შესახებ მოლაპარაკებაზე. 2) მ. და ჯ. დეპუტატების საბჭოს წევრთა მოხსენება. 3) გაფიცვის ფონდის დაარსება. 4) საკონტროლო კომისიის არჩევა.

— დღეს, დილის 10 ს., ელექტრო-თეატრ „ლირა"-ს შენობაში დანიშნულია ელექტრონზე მომუშავეთა პროფესიონალურ კავშირის წევრთა კრება.

— დღეს, დღის 12 საათზე, ქართულ სასოფლო-სამეურნეო ბანკის დარბაზში (სასახლის ქუჩა) დანიშნულია კავკასიის ქართულ კულტურულ-განმანათლებელ საზოგადოებათა კავშირის რწმუნებულთა საზოგადო საგანგებო კრება. დღის წეს-რიგი: არსებულ წესდებაში ცვლილება-დამატებათა შეტანა (წესდების 15 §). კრებაზე უნდა გამოცხადდენ წარსული წლის აპრილში არჩეული რწმუნებულები. კავშირის გამგეობა სთხოვს რწმუნებულთ აუცილებლათ დაესწრონ კრებას; რადგან დასარჩევია ფრიად მნიშვნელოვანი საკითხი, რომლის გადასაწყვეტათ საჭიროა რწმუნებულთა სამი მეოთხედის დასწრება.

— დღეს, დილის 11 ს., ქალაქის სასურსათო კომიტეტის ბინაზე დანიშნულია ყველა ფართლეულობის მაღაზიების პატრონებისა და მოსამსახურეთა კრება, დამსწრეთ გააცნობენ ინსტრუქციას, რომლის ძალით უნდა მოხდეს ფართლეულობის ნაწილობით გაყიდვა.

— დღეს, საღამოს 7 ს., ბიუროს ბინაზე, (პეტრე დიდის ქ № 18) დანიშნულია კავკასიის პროფესიონალურ კავშირთა კონფერენციის მომწვევ პირთა კრება.

— დღეს, საღამოს 7 ს., მე 2 მომრიგებელ სასამართლოს შენობაში (მუხრანის ქ.) დანიშნულია მე-4 სამილიციო უბანში მცხოვრებ ს.-დ. პარტიის წევრთა კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, დანიშნულია არაჩვეულებრივი კრება მე 4 რაიონის კოლექტივის წევრებისა.

— დღეს ნაშუადღევს 2 საათზე დანიშნულია საბურთალოს მცხოვრებთა საზოგადო კრება. დღე ს წეს-რიგი: 1) კომისარის დანიშვნა; 2) სასურსათო კომიტეტის წევრთა არჩევა და 3) აღმასრულებელ კომიტეტის წევრთა არჩევა და სხ.

— დღეს, დილის 11 საათზე, დანიშნულია სათავად-აზნაურო სკოლების და საქალებო გიმნაზიების მოწაფეთა მშობლების კრება. საგანგებოთ ასარჩევია ახალი დელეგატები და საბჭოს წევრები.

— ხვალ, საღამოს 7 საათზე, (ანასტასიევის ქუჩა 13) დანიშნულია ცენტრალურ კოლექტივის წითელი ჯვრის მოსამსახურეთა სოც. დემოკრატიული ჯგუფის თფილისის ორგანიზ. რ. ს.-დ. მ. პარ. (მენშევიკების) კრება.

— დღეს, საღამოს 5 საათზე ქალაქის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება თფილისის სავაჭრო სამრეწველო დაწესებულებაში მოსამსახურეებისა. დღიური წესრიგი: 1) პ. ბახტაძის მოხსენება „დამფუძნებელი კრების შესახებ, 2) ნოქართა სპეკულიაცია, 3) არჩევა პროფეს. კავშირთა საბჭოში წარმომადგენლისა, სარევიზიო კომისიის წევრებისა, მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოში დელეგატისა.

— დღეს, საღ. 5 ს., ქალთა უმაღლეს კურსების შენობაში (ანასტასიევის ქ.) მარქსისტ სტუდენტთა ორგანიზაციის მიერ დაარსებულ საფილოსოფიო-ეკონომიურ წრეში ამხ. მ. ხუნდაძე წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ანარქიზმი და მარქსიზმი". მოხსენების შემდეგ გაიმართება კამათი. დასწრება შეუძლიათ არა წევრ სტუდენტებსაც.

მიმდინარე მომენტი

4 ნოემბერს თფილისის რკინის გზის დეპოში მუშათა მრავალრიცხოვან კრებაზე ამიერ კავკასიის ცენტრის წარმომადგენელმა ამხ. ე. პ. გეგეჭკორმა წაიკითხა მოხსენება: „მიმდინარე მომენტი და დამფუძნებელ კრების არჩევნები". მომხსენებელმა დაასურათა დღევანდელი მდგომარეობა და მოუწოდა მუშებს შეადგინონ ერთი რევოლიუციონური ჯარი, და მით თავ დაეხსნან დამღუპველი მოქალაქობრივი ომი. შეთანხმების პლატფორმით მან წამოაყენა ერთგვარი დემოკრატიულ მთავრობის შედგენა, რომელშიაც მიიწვევენ ყველა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლებს ბოლშევიკებიდან დაწყებული სახალხო სოციალისტებამდე. მომხსენებელს გამოეკამათა ბოლშევიკი აფიცერი ყორღანოვი და კალანდაძე. მათ ლანძღვა გინების გუდის პირი მოხსნეს მენშევიკების წინააღმდეგ, უმეტესათ ლანძღეს ამხ. წერეთელი (მას მოღალატე და გამყიდველი უწოდეს). კრების დიდმა უმრავლესობამ სასტიკი პროტესტი განაცხადა ასეთ გამოსვლის წინააღმდეგ და მოსთხოვა ორატორებს კითხვის არსებით მხარეს შეეხონ და ლანძღვა გინებისთვის თავი დაენებებინათ. ამის შემდეგ კიდევ ჩაეწერა სალაპარაკოთ ორი ორატორი ბოლშევიკი, მაგრამ კრების დიდმა უმრავლესობამ დაადგინა შეეწყვიტათ კამათი და უკანასკნელი სიტყვა მიეცათ მომხსენებლისათვის. ამ საკითხს ორეჯერ უყარეს კენჭი და ორივეჯერ კრებამ დაადასტურა თავის გადაწყვეტილება, რამაც მოთმინებიდან გამოიყვანა ბოლშევიკები და „სკანდალი" გამართეს. კრებამ ნაძალადევ [illegible] იქ ერთხმათ მიიღო ამიერ-კავკასიის ცენტრის რეზოლიუცია—ამასთანავე აღნიშნა ის გარემოება, რომ ბოლშევიკების შორის აღმოჩნდენ ისეთი პირნი, რომლებსაც ძველი პარტიული მუშაკები იცნობენ, როგორც შტრეიკბრეხერებს.

დამსწრე.

სოფლის მუშებისადმი

ამხანაგებო, სოფლის მუშებო! მოახლოვდა დამფუძნებელი კრების არჩევნები. დღეს თქვენზეა დამოკიდებული ბედი დამფუძნებელი კრებისა, რომელმაც უნდა გამოიმუშაოს სახელმწიფოს კანონები, წესი და მთელი ფორმა სახელმწიფოსი და მასთან, მიწის საკითხიც უნდა გადასჭრას.

და აი, თქვენ 12 ნოემბერს უნდა წახვიდეთ ყუთებთან და მისცეთ რომელიმე პარტიის კანდიდატს თქვენი ხმა. ვის მისცემთ ხმას, რომელი პარტიის კანდიდატების სიას ჩაიდებთ კონვერტში და ჩააგდებთ ყუთში?

აი ის კითხვა, რომელიც ყველაზე მეტათ აინტერესებს ყველა პარტიებს.

რევოლიუციამდე როგორც სოფლის მუშები, ისე ქალაქის მუშები არ იყვნენ მოქალაქე სახელმწიფოსი, თქვენ არ გქონდათ ხმა არჩევნებში, თქვენ ძოკლებული იყავით ყოველივე უფლებას, თქვენ ზურგზე თამაშობდენ მდიდარი მემამულეები და სხ., მაგრამ მუშათა კლასის თავდადებულმა ბრძოლამ, პეტროგრადში დაღვრილმა სისხლმა გაანთავისუფლა მტარვალობისაგან რუსეთის ხალხი. გუშინდელი უუფლებო, დღეს შეიქმნა ნამდვილი უფლებიანი მოქალაქე; თქვენ, ამხანაგო სოფლის მუშებო, ეხლა ნამდვილ უფლებიან მოქალაქეთ ხართ აღიარებული და როგორც სწორ-უფლებიანი მოქალაქე, მიწვეული ხართ, რომ სთქვათ თქვენი სიტყვა იმაზე, თუ როგორი უნდა იყოს დამფუძნებელი კრება და რა უნდა გააკეთოს თქვენთვის.

დღეს, როგორც სწორ უფლებიან მოქალაქეს, თქვენ მრავალი სხვადასხვა პარტია მოგეპატიჟებათ, მოგმართავთ ლამაზი ფრაზებით დაპირებებით, რომ მათ კანდიდატებს მისცეთ თქვენი ხმა, და თქვენ მიერ მიცემულ ხმით იმათ მისცემთ თქვენს ბედსაც. მაგრამ სანამ თქვენ რომელიმე ახალ გამოჩეკილ პარტიის კანდიდატებს მისცემდეთ ხმას, კარგათ უნდა ჩაუკვირდეთ, ვინ არის შენი მოყვარე და მტერი, რომელი არის შენი ინტერესების დამცველი პარტია, ვინ იბრძოდა თავის უფლებისათვის, ვის სურდა თქვენთვის კარგი. აი, როდესაც ასე დააყენებთ კითხვას და ანგარიშს გაუწევთ, [illegible], მე მგონია თქვენ წინაშე წარმოდგება თქვენთვის კარგათ ნაცნობი ერთად-ერთი ტანჯვით ნაწამები დაკოდილებული ხელებით მუშა, სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის სახელით.

ამ ოცი წლის წინათ შავ ბნელ რეაქციის დროს პირველად გაჩნდა—დაიბადა ჩვენში მუშათა ორგანიზაცია, რომელიც მოუწოდებდა მშრომელ ხალხს ბრძოლისაკენ. აი, სწორეთ ის იყო ქალაქებში ჩვენი პირველი სოც.-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციები. მიდიოდა წლები, მძვინვარე მძვინვარეს მისდევდა, მაგრამ სოციალ დემოკრატიული პარტია და მისი გავლენა მაინც უფრო—უფრო და უფრო იზრდებოდა. კატორღა, სახრჩობელა, ციმბირი არ აშინებდათ მებრძოლ სოციალ-დემოკრატებს. თქვენ კარგათ გეხსომებათ სოც.-დემოკრატების თავგანწირული ბრძოლა, თქვენ კარგათ გახსოვთ შავ ბნელ რეაქციის დროს ვინ დადიოდა თქვენთან, ვინ მუშაობდა, ვინ იყო თქვენთან ყოველ გაჭირვების დროს, ვის იჭერდენ და ხვრეტდენ თქვენი თვალის წინ გამხეცებული „სტრაჟნიკები", თუ არა იმ მუშა სოციალ-დემოკრატებს, რომლების ბრძოლამ, ენერგიულმა მუშაობამ რუსეთის ხალხს, სოფლის მუშებს მისცა თავისუფლება. ბრძოლაში გაწვრთნილი, თქვენი ინტერესების დამცველი სოც.-დემოკრატიული მუშ. პარტია. არ დაივიწყოთ, რომ ვერც ერთი პარტია ვერ დაიცავს თქვენს ინტერესებს დამფუძნებელ კრებაში ისე, როგორც სოციალ დემოკრატები.

რუსეთის სახალხო დამფუძნებელმა კრებამ უნდა დაამყაროს, შექმნას ახალი რუსეთი, რაც მეტი იქნება სოც.-დემოკრატები, მით უფრო ძლიერი იქნება ჩვენი ფრაქცია დამ. კრებაში, მით უფრო ადვილათ მოიპოვებენ და განახორციელებენ ჩვენს მოთხოვნილებებს.

ჩვენი მოთხოვნილებების განხორციელება კი ნიშნავს სოფლის მუშისთვის თავისუფალი ფართე განვითარებას, თავისუფლათ წინსვლელობას, ისპობა ყოველივე მფლობელობა მემამულეებისა, მიწა მიეცემა მშრომელ ხალხს, ყველა იქნება თანასწორი, გადასახადი დაედება არა ღარიბ კლას, არამედ—მდიდრებს, იქნება უფასო საყოველთაო სწავლა, სოფლის მეურნეობა ჩქარის ნაბიჯით წავა წინ, მოისპობა ყოველივე წოდება და იქნება ყველა თანასწორი მოქალაქე რუსეთის რესპუბლიკის და სხვ. რომ ყველა ზემოჩამოთვლილი მოთხოვნილება განხორციელდეს უნდა აირჩიოთ ის მებრძოლი სოციალ-დემოკრატიული პარტიის კანდიდატები, რომლებსაც შეუძლიათ ბრძოლა, რომლებიც დღესაც იბრძვიან.

ამხ. სოფლის მუშებო! გახსოვდეთ ერთი: თუ თქვენთან მოვლენ თბილი კაბინეტის ფედერალისტების პარტიის ხალხი და შეგთავაზე-

ზებენ თავიანთ პარტიის სიას, თქვენ მათ უთხარით: ჩვენ ვირჩევთ არა ფედერალისტ-ნაციონალისტებს, არამედ—მებრძოლ ინტერნაციონალისტს საუკეთესო ბელადს ამიერ-კავკასიის მოძრაობისას **ნ. ჟორდანიას**, სია № 1.

თუ თქვენთან მოვლენ და ფერად ლამაზი სიტყვებით, დაპირებებით მოგმართავენ სოციალისტ რევოლიუციონერები, ეს ახლად გამოჩეკილი ჩვენში პარტია თქვენ მათ უთხარით: ჩვენ თქვენ არ გიცნობთ, ან რაღის დაიბადეთ და სად იყავით ამდენ ხანს? ჩვენ ვენდობით და ვირჩევთ იმას, ვინც წამების ჯვარი ატარა გოლგოთაზე, ვინც კატორღაში იტანჯებოდა ჩვენთვის, ვინც ერის არწივს წარმოადგენს და მებრძოლ ბელადს რუსეთის რევოლიუციისას **ირაკლი წერეთელს**, სია № 1.

თუ თქვენთან მოვლენ ნაციონალ-დემოკრატები, ეს ბურჟუაზიული პარტია, თქვენ მათ უთხარით: სად ჩვენ მშრომელი ხალხი, სად ბურჟუაზია. ჩვენი გზა სულ სხვა არის, ჩვენ შორის დიდი უფსკრულია, ჩვენი გზა, ხიდი, ლამპარი, ის არის, ვინც რეაქციის დროს სახელმწიფო დუმაში ჩვენთვის იბრძოდა, ვინც დროებით ვალდებული გლეხები გამოანთავისუფლა, ვინც რევოლიუციის სათავეში ჩაუდგა და ბრძოლის დროშა უშიშრად მიაქვს, ვისაც სახელი მთელ რუსეთს პირზე აკერია, ჩვენ მას ვირჩევთ **კარლო ჩხეიძეს**, სია № 1.

ჩვენ ვირჩევთ მათ და ამხანაგებს, მათთან ერთად გაწვრთნილს, თანაშეზრდილ მებრძოლებს. იგინი დღემდეც ჩვენთან იყვნენ, და დღეიდანაც ჩვენს ინტერესებს დაიცავენ. ჩვენ ვაძლევთ ხმას სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

ან. პლიევაშვილი.

მუშათა შორის

თბილისი. დაარსებიდანვე ბეჭ. საქ. პროფ. კავშირისა, როგორც მოსალოდნელი იყო, ბევრი მუშები ჩაეწერნენ წევრებათ და შესავალი ფულიც-კი გადაიხადეს. ზოგიერთი გულუბრყვილო მუშებს ეგონათ, რომ მეტი არა იყო-რა საჭირო—წევრად ჩაეწერე, მორჩა და გათავდა. სრულებით დაივიწყეს კავშირი. 1000 წევრში დახლოებით 600-მდე იხდიდა საწევრო ფულს, გამგეობამ მიიღო ზომები, რათა წევრებს საწევრო ფული შემოეტანათ, რწმუნებულებსაც-კი დაავალეს, რათა იძულება დაეტანებინა წევრებისათვის, მაგრამ ყოველივე ცდამ ამაოდ ჩაიარა. მაგრამ როდესაც კავშირმა ტარიფი შეიმუშავა და „ხაზეინებს" წარუდგინა და ყოველ ღონეს ღონობს, რათა ტარიფი ცხოვრებაში გატარებულ იქნას, ზოგიერთები ახალ წევრებათაც ჩაეწერენ და წინეთ ჩაწერილი წევრებიც კი გონს მოვიდნენ და ნელ-ნელა შემოაქვთ საწევრო ფული.

„ერთობის" კორექტორი ალექსანდრე რუხაძე წევრად ჩაეწერა 18 აპრილს 1917 წ. და მას შემდეგ საწევრო ფული არ გადაუხდია და როდესაც გამომუშავდა ტარიფი, მაშინ კი გონს მოვიდა და ოქტომბრის საწევროც გადაიხადა, როდესაც მოვაგონე, როგორც პროფ. კავ. გამგ. წევრმა გასული 5 თვის საწევრო ფული, მან შეურაცხმყოფელი სიტყვით მიპასუხა, რითაც დაამტკიცა თავისი უსუსურობა, რისთვისაც იქვე მყოფმა ამხანაგებმა გაჰკიცხეს. დროა, ამხანაგებო, გულგრილობას თავი დაანებოთ და შემოკრბეთ პროფეს. კავშირის გარშემო.

ბეჭ. სიტ. პროფ. კავშ. გამგ. წევრი
გიორგი ხურგულაძე.

თბილისი. ამიერ-კავკასიის საოლქო სამხედრო სამრეწველო კომიტეტის მოსამსახურეთა ცხოვრება კალმით აუწერელია. თითქმის ყველა დაწესებულებებში უფრო კარგათ არის დაყენებული საქმე, ვიდრე აქ. ყველა დაწესებულებების მოსამსახურეებმა რევოლიუციის პირველ დღიდანვე დაარსეს პროფესიონალური კავშირები და აუტანელ მდგომარეობის გამო შეიმუშავეს და წარუდგინეს თავიანთ უფროსებს სამართლიანი მოთხოვნილებები. ამ გვარათ მოსამსახურენი თითონვე შეუდგნენ თავიანთი ეკონომიური პირობების გაუმჯობესებას. რევოლიუციის პირველ დღიდანვე ჩვენც დავაარსეთ პროფესიონალური კავშირი, რომლის მიზანი იყო ადგილობრივი სამხედრო სამრეწველო კომიტეტების მოსამსახურეთა შეკავშირება. ავირჩიეთ პრეზიდიუმი, ხუთი კაცისაგან შემდგარი. არჩეულებიც შეუდგნენ მოვალეობის შესრულებას და ბიუროს მოსამსახურეებს 25 პროცენტით გაუდიდა ჯამაგირები, მხოლოდ მომატების განაწილება გადაეცა თვით მოსამსახურეთა კავშირს; კავშირმა კი მიანდო არჩეულ პრეზიდიუმის წევრებს. არჩეულებმა კერძო ინტერესები უფრო მაღლა დააყენეს, ვიდრე მოსამსახურეთა. პრეზიდიუმის ერთმა წევრთაგანმა ინება თავისი ჯამაგირის გადიდება თითქმის ასი პროცენტით. ასევე მოიქცნენ თითქმის ყველა არჩეულნი. ყველა ამის შემდეგ ცხადია, თუ რა მომატება მიიღებდენ დანარჩენი მოსამსახურეები. ეს მოხდა იმიტომ, რომ პრეზიდიუმის უმრავლესობას შეადგენდნენ გამგენი და კანტორის უფროსები. მათ ფიქრადაც არ მოსვლიათ ჯამაგირების განაწილება თანასწორად პროცესის მიხედვით და დაბალ მოსამსახურეთა ეკონომიური პირობების გაუმჯობესება. ასე დამთავრდა საქმე დროებით, მაგრამ რაც დრო გადის, მით უფრო გაჰირდა ცხოვრება, ამანაც მოსამსახურეები იძულებულ გახადა ცალ-ცალკე ეშუამდგომლათ უფროსების წინაშე ეკონომიური პირობების გაუმჯობესებაზე.

ჯამაგირების მხრით დაჩაგრული არიან მექანიკური განყოფილების დაბალი მოსამსახურეები. თუ სხვა განყოფილებებში რეგისტრატორები დებულობენ 165—200 მან., აქ 120—130 მანეთს პრეზიდიუმის წევრები თავგანწირულად იბრძოდნენ, ვითომც მოსამსახურეების ეკონომიური პირობების გაუმჯობესებისათვის. მაგრამ როდესაც საქმე განხორციელებაზე მიდგა, სულ სხვას ვხედავთ: დაბალი მოსამსახურეების ინტერესები მივიწყებულია ისე, როგორც ძველად იყო. დაბოლოს მოსამსახურეებმა მისცეს განყოფილების თავმჯდომარეს კოლექტიური განცხადება ჯამაგირების მომატების შესახებ. სამართლიანი განცხადების დაკმაყოფილებას რათქმა უნდა მოელოდნენ. 24 ოქტომბერს განიხილეს ჩვენი განცხადება, და დაადგინეს, რომ ვინც იღებდა 120—130 მანეთს გაუდიდდეს 140—150 მანეთამდე, მხოლოდ ვინც 150 მანეთი—170 მანეთამდე. 25 ოქტომბერს დილას გაიგეს რა ასეთი დადგენილება, მოსამსახურეებმა გადასწყვიტეს პირველი მომავალი თვიდანვე თავი დაენებებინათ სამსახურისათვის, მხოლოდ ერთმა მოსამსახურეთაგანმა, რომელიც ღებულობდა 130 მანეთს და რომელსაც გაუდიდეს ჯამაგირი 140 მანეთამდე მაშინათვე დაანება თავი. ან და როგორ უნდა ეცხოვრა ცოლ-შვილიან კაცს და მით უმეტეს დღევანდელ პირობებში 140 მანეთად. ყველა ზემოხსენებულის შემდეგ ყველასათვის ცხადია, თუ რას წარმოადგენს აქაური მოსამსახურეთა კავშირი. მოსამსახურეთა კრებამ დაადგინა, რომ მოსამსახურეთა მიღების და დათხოვნის საქმე თვით მოსამსახურეების ხელში უნდა გადავიდეს და ეს დადგენილება ცხოვრებაში გასატარებლად არჩეულ პრეზიდიუმს დაავალა, მაგრამ, როგორც ვხედავთ, ეს დადგენილება მხოლოდ ოქმში დარჩა. დათხოვნა მიღების საქმე ისევ ძველებურად დარჩა. შენი ფიზიონომია თუ ვინმეს არ მოეწონა, მშვიდობით და გამარჯვებით.

26 ოქტომბერს, პრეზიდიუმის ახალი შემადგენლობა იქნა არჩეული. დასაგმობია ამ არჩევნების დროს ბევრი ბატონების მოქმედება. თითქმის მთელი შემადგენლობა ძველი პრეზიდიუმისა წამოაყენეს კანდიდატებათ ახალ პრეზიდიუმში. ესეც არ იკმარეს და აწყობდენ აგიტაციას მათ სასარგებლოთ. მაგრამ მათმა აგიტაციამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ისინი დამარცხდნენ. ვნახოთ რას მოგვიტანს ახალი შემადგენლობა პრეზიდიუმისა.

22 ივნისს აქ დაარსდა ბიბლიოთეკა სამკითხველო მოსამსახურეთა კავშირისა. დადგენილების თანახმად ყველა წევრს კავშირისა დახმარება უნდა გაეწია წიგნებით თუ ჟურნალ გაზეთებით. სხვას რომ თავი დავანებოთ, ამ ბოლო დროს გაზეთებსაც-კი ვერ ნახავთ შიგ.

ქ. მეგრელიშვილი.

ჯარის-კაცთა წერილები

თფილისში ამას წინათ დაიწყო ქართული ბატალიონის შედგენა. ბატალიონის შედგენას ითხოვდენ ნაციონალისტები. ისინი ამბობდენ ფიქრობდენ, რომ რაკი შესდგებოდა ქართული ბატალიონი და შემდეგ პოლკები, ამას ისინი გამოიყენებდენ თავიანთი ნაციონალისტური სურვილების დასაცავათ. ე. წ. სამხედრო კავშირმა, (რომელიც მუდამ ნაციონალისტებისა) ითავა ქართული პოლკების შედგენის პასუხისმგები საქმე. ჯარისკაცები ჯერ უნდა ჩაწერილიყვნენ სამხედრო კავშირში და შემდეგ—პოლკში. ისინი ფიქრობდენ: რაკი სამხედრო კავშირში ჩაეწერებოდნენ ჯარისკაცები, თითქოს ისინი მაშინვე ინათლებოდენ სამხედრო კავშირის „იდეებში". დემოკრატია ხედავდა, რომ უკეთუ ისინი შეიყრიდენ თავს ქართულ ნაციონალისტურ ერთეულებს ეს საზარალო იქნებოდა დემოკრატიისათვის და აი, ამიტომ მიიღეს მონაწილეობა ბატალიონში ჭეშმარიტ დემოკრატიის შვილებმაც, რომ ამით ნაციონალისტებისათვის ნება არ მიეცათ იქ გაბატონებულიყვნენ, და კიდევაც მოყვა ამას ის, რომ ქართულმა ბატალიონმა უკუაგდო ნაციონალისტური ზრახვები და ნამდვილ დემოკრატიულ პრინციპების თანახმათ იწყებს მოქმედებას. იმათ გააბეს კავშირი დემოკრატიასთან, რომლის შვილებიც თვითონ ისინი არიან და სრულიადაც გაწყვიტეს ძაფი ნაციონალისტებთან. ეხლა ქართული ერთეულების ნებართვა უკვე არის. ქართული ერთეულები არ უნდა ასცდენ დემოკრატიის გზას. ამისათვის ქართული ერთეულები უნდა აგებს დემოკრატიულ პრინციპზე და შიგ ნაციონალისტურ ზრახვებს ადგილი არ ჰქონდეს.

„ალიონში" ამას წინათ ცნობა იყო, თუ როგორი განგაში ასტეხეს ფედერალისტებმა დროშის წარწერის შესახებ, როცა ჯარმა უარყო დროშაზე წარწერილიყო ფედერალისტური ლოზუნგი. ფედერალისტები და მათთან ერთად პლატონ ლეჟავა იბრძოდენ და იბრძვიან დღესაც. იმათ მაშინვე დამალეს დროშა, რომელსაც ზედ წარწერილი იყო მხოლოდ რევოლიუციონური ლოზუნგები და დღესაც ქართული ბატალიონის ჯარისკაცებმა არ იციან, თუ სად არის დროშა და რატომ არ აჩენს საბატალიონო კომიტეტი მას, რომლის თავმჯდომარეა ბ-ნი პლატონ ლეჟავა. ზევით ავღნიშნე, რომ ძაფი ნაციონალისტებს და ერთეულს შორის გაწყდა-თქო, ამიტომ ნაციონალისტებმა ხელი უნდა აიღონ ანტი-დემოკრატიულ ნაბიჯების გადადგმაზე. ნაციონალისტებმა დაჰკარგეს ყოველივე იმედი ქართულ ერთეულებზე, ეს კი აძლიერებს დემოკრატიის ნდობას ერთეულებზე, რაც ფრიად სასიამოვნოა. ნაციონალისტური სურვილი ქართულ ერთეულებში ვეღარ სწრის, მიზნის მისაღწევათ შეიძლება მათ სხვა საშუალებას მიმართონ, მაგრამ ჯარი ფრთხილათ უნდა იყოს ყოველ შემთხვევის დროს. ქართული ერთეულების ნაციონალისტურ ჰანგებზე ათამაშება—აი რა სურდათ მათ, მაგრამ ვერ მიართვეს!

ლახვარი.

პროვინციის ცხოვრება

ს. ნიხორალა. (ქუთ. მაზრა). როგორც წინეთ გვქონდა გამოცხადებული, ამ სოფლის მცხოვრებლებმა განიზრახეს დაარსება სამკითხველოს, რისთვისაც ერთ კრებაზე არჩეულ იქნა ხუთი კაცისაგან შემდგარი კომისია. მაგრამ ვინაიდან ეს კომისია ძალიან სუსტი გამოდგა ამ საქმეში, ამისათვის მეორედ სოფლის ხელახალი კრება და არჩეულ იქნა ახალი კომისია. ახალ კომისიაში შედიოდა: მარია სტ. თარგამაძის ასული, მიხეილ თარგამაძე, გიგო თარგამაძე, ონისიმე ე. გაგუა და ვატო ტყეშელა, რომლებმაც არ დაიშურეს ძალღონე და კიდევაც შეიძინეს ადგილი, როგორც სამკითხველოსათვის, ისე მომავალ ოთხკლასიან სკოლისათვის, ადგილი [illegible]. მადლობის ღირსია ის კომისია, რომელმაც იმუშავა ასე ენერგიულად და კიდევაც მოაწყობინა ეს საქმე. მადლობის ღირსნი არიან ის პირნი, რომლებმაც საშუალება მოუნახეს: ოქრია და თამარა კალანდაძეებმა შემოსწირეს ერთი ქცევა მიწა. ვთხოვთ გულშემატკივარ ამხანაგებს, რითაც შესაძლებელი იქნება, დახმარება აღმოუჩინონ ამ ნორჩ დაწესებულებას.

შ. თ.

დ. ხაშური (სამეგრელო). 18 ოქტომბერს აქ გაიმართა დიდი ყრილობა 7 საზოგადოებისაგან შემდგარი. თავმჯდომარეთ ერთხმათ არჩეულ იქნა ამხ. სოლომონ შენგელია, რომელმაც გახსნა კრება და წინადადება მისცა საზოგადოებას გულდასმით მოესმინათ ამხ. სიმონ თოდორდავასათვის. ამხ. თოდორდავამ დიდხანს ილაპარაკა ქურდ-ბაცაცების წინააღმდეგ, აუხსნა ხალხს ქურდობით გამოწვეული ანარქიის შედეგები და მოუწოდა მიეღოთ საჭირო ზომები. მერე, საუბარი მან, ვიკისრე რაზმის შედგენა და მათი მეთაურობა. მთელი ჩემი ძალღონით შევებრძოლები ქურდობას, სრული დარწმუნებული ვარ კიდევაც მოვსპობ თქვენის დახმარებით. ამ უკანასკნელ დროს გაიტაცეს მოგზაური ისაკი ჭანია და მოსთხოვეს 15 ათასი მანეთი, მაგრამ ამხ. სიმონ თოდორდავასი და იოსებ კვარაცხელიას ენერგიული ზომის მიღებით განთავისუფლებული იქნა. ბოროტმოქმედნი აღმოაჩინეს, ზოგი დაპატიმრეს და ზოგსაც დაეძებენ.

მეთვალყურე.

ხიდ. ძიმში (გორის მაზრა). დიდათ უკუღმართობით არის დატყვევებული ეს სოფელი. ამ შვიდი თვის განმავლობაში ერთის მეტად არ ყოფილა აქ პროპაგანდისტი. რამდენჯერმე მივმართეთ ბიუროს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. ამიტომაცაა, რომ ხალხი ისევ ძველ ტყავებშია და არ იციან, რომელ გზას დაადგნენ. კომისარიც ისევ ძველებურათ მოქმედობს თავის ნებით. ვისაც უნდა სცემს, ვისთვისაც ემეტება—მისცემს, ვისაც დაიბრიყვებს კიდეც გალანძღავს. არც ორგანიზაცია, არც ამხანაგური მისთვის არაფერი არ არსებობს. თუ რამე გაუბედე, იქნება კიდეც მათრახი მოგხვდეს. სამაგიეროთ, სტუმრები უყვარს. როცა კაცზე ჩარექა ღვინო იყო ნორმათ ოჯახში მიცემული, ეს არ აკმარა. ეს შუა სოფელშიაო. 30 კაცის ხმით 1500 კაცის წინააღმდეგ გადაიტანა თავისი დუქანი სოფლის გარეთ წყლის ახლო. კერძო პირებს აუკრძალა დუქნებში ვაჭრობა ღვინის და თითონ უვრცესი ქნა. ეხლა ვისაც ნებავს მიბრძანდით, ღვინო რამდენიც გნებავთ მიირთვით, ცხელი მწვადი გნებავთ თუ ცხვრის ბოზბაში... აი კომისარის წეს-რიგი. ამას წინათ წისქვილებში გატანილი ფქვილი მოკრიფა ხალხისა,—რამდენიმე ქერიც-ოდლებისაც მოჰყვა,—საზოგადოთ დაურიგა, პატრონებს რომ მიდიან სთხოვენ—ან ჩვენი პური მოგვეცი, ან ფული—ასე მოიხსენიებს: გათხოვდი და პური იქ გექნება. მის მოქმედებას აუცილებლათ უნდა მიექცეს ყურადღება. ვისგანაც ჯერ არის, მით უმეტეს, რომ სოფელი მშიერი რჩება და იმათი [illegible] პური [illegible] დუქანში იყიდება. ამიტომ კიდევ იმედი ჰქონდება ხალხსა. მაშინ საზოგადო თითონვე, ის მოუსპობს და კერძოთ ასახლებინებს დუქნისთვის და ავარა-ღვთიური ილდინთებიან. აი ასეთი კომისარი გვყავს ვასო ჩაჩანაშვილი. ამისათვის ვსთხოვთ ვისაც ჯერ არის და თვით საზოგადოებასაც შესაფერი ანგარიში გაუწიონ მას.

მეთვალყურე.

ცნობები

ჯარისკაცების შესახებ.

ჯარისკაცი ერასტი თავართქილაძე მსახურობდა მეოცე კავკასიის მსროლელ რაზმში. თუ ვინმემ იცით მის შესახებ რამე, გთხოვთ გვაცნობოთ შემდეგი ადრესით: კავკასიის ჯარი მე-221 სთავროპოლის პოლკი მე-15 როტა სერგო გიტის ძე მეტეხელს.

— ჯარისკაცი ხარლამპი (იგივე) ბაჩანა გლახუნის ძე მგალობლიშვილი მსახურობდა მოქმედ ჯარში 80 კაბარდინის პოლკში მე 10 როტაში. ორი წელიწადი გავიდა, რომ მისი არაფერი გაგვიგია, გთხოვთ თუ ვინმემ რამე იცით მის შესახებ გვაცნობოთ შემდეგი მისამართით: თფილისი, პარკოვაის ქუჩა № 27, კირილე იგივე კაპიტონ გლახუნის ძე მგალობლიშვილი.

— ჯარისკაცი ბართლომე სტეფანეს ძე მარგალიტაძე მსახურობდა კავკასიის მოქმედ ჯარში, მე 25 კავკასიის სამხედრო ტრანსპორტში, 1-ლ ეშელონში. 18 მარტს იქნა გადაყვანილი ავათმყოფობის გამო მე 152 საევაკუაციო პუნქტში ქ. ერზერუმში. შემდეგ არავითარი წერილი და არც [illegible] ჩანს. ვსთხოვთ თუ ვინმემ იცის რამე გვაცნობოს შემდეგის მისამართით: სადგური ჯუმათი, ჩინჩხეის ბიბლიოთეკა, ვლადიმერ მარგალიტაძეს.

კულტურ.-განმანათლებელი კომისია
მე-4 სამილიციო უბნის პოლიკლინიკისა,
კვირას 5 ნოემბერს, საღამოს 7 ს. მართავს

ლექციას

სახელოსნო სკოლის შენობაში (ეგზარხის მოედანი) პეტროგრადის ამბების და დამფუძნებელ კრების შესახებ. ლექციას კითხულობენ ამხ. ა. დოლიძე და მ. აზატიანი. 4 სამ. უბნის რჩ. ს.-დემ. პარტიის ბიუ., სასარგებლოთ.
შესასვლელი ფასი 50 კ.

მუშათა კლუბი რ. ს.-დ. მ. პ.
კვირას 5 ნოემბერს საღამოს 7 ს. გაიმართება

ლიტერატურული საღამო

I. ამხ. მ. არსენიძე წაიკითხავს ლექციას: „მიმდინარე მომენტი".

II. ლიტერატურულ განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ: ვ. რუხაძე, გ. ქუჩიშვილი, ოპოლე მუშა და სხვ.

III. სახალხო სახლის სცენის მოყვარეების მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება: **ჯერ დაიხოცენ ▷ მერე დაქორწინდნენ.**

რ. ს.-დ. მ. პ. თფილისის ორგ.
მეორე რაიონის კომიტეტი
კვირას, 5 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, საქალაქო სასწავლებლის შენობაში, (კირპიჩნი ქუჩა—სახალხო სახლის პირდაპირ) შესდგება მეორე რაიონის წევრთა

საზოგადო კრება

დღიური წესრიგი: მოხსენება კოლექტივის მოქმედებაზე, მიმდინარე მომენტი და სოც.-დემოკრატ. დამფუძნებელ კრებაზე.

რკინის სადგურის

დავკარგე

წლიური ბილეთი ერეკლეს საზოგადოების მცხოვრებმა ერმილე ანტონის ძე ნადირაშვილმა მოცემული ამავე საზ. კომისარისაგან. მონახველს ვსთხოვ გადმომცეს თფილისის სადგ. სადგურის კომიტეტში, რისთვისაც შესაფერ ჯილდოს მიიღებს.

პატ. ერმ. ა. ნადირაშვილი.

თფილისის საქალაქო სადგურის

იმ ხელისმომწერთა საყურადღებოთ,

რომელთაც „ერთობის" გასულ თვის ხელისმოწერის ფული არ გადაუხდიათ ვაცხადებთ, რომ ფული დაუყოვნებლივ შემოიტანონ. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სახელს და გვარს გაზეთში გამოვაქვეყნებთ.

პატივისცემით ხ. ლ. ჩიგოგიძე.

საჭიროა

გაზეთის დამტარებელი.

მსურველებს შეუძლიათ მიმართონ რ. ს.-დ. მ. პ. თფ. ორგ. მეორე რაიონის მდივანს, კოლექტივის ბიუროში ყოველ დღის. სახ. სახლი.

კბილის საექიმო

და ლაბორატორია ხელოვნური კბილებისა
დაარსებული

გ. ზაქარია-[illegible]

მიერ, თფილისი, მიხეილის პრ. ს. № 76.
ავათმყოფები მიიღება განუწყვეტლივ
დღისით და ღამით.
ღამით მორიგეობა ექიმებისა.

ექიმი

დ. ი. ქორდანია

იღებს ავათმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფობით, სიფილისი და მისი შედეგები სისხლ ნაკლებობა, ქრონიკული მალარია და ქრონიკული ტრიპერი. საღამოს 5—7 საათამდე გარდა კვირისა. გორის ქ. № 6 (დიდუბე).

კბილის ექიმი

მამულაიშვილი-ხოდნევისამ

განახლა ავადმყოფების მიღება დილის 10—1 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე გარდა კვირისა. ოლღას ქ. № 22.

ექიმი

დ. ვ. ჯავახიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავათმყოფებს ყოველ დღე კვირას გარდა, საღ. 5—7 საათამდის, [illegible] ქ. № 41.

ექიმი

გ. დონხინი

ყოფილი ასისტენტი პარიზის მთავარ კლინიკისა იღებს
თვალის ტკივილებით ავადმყოფებს.
დილის 10—12 და საღამოს 4—7 საათამდე.
მიხეილის პრ., 76, (ზაიკინის კბილის საექიმო).

ექიმი მ. გ. ვეფხვაძე

ტომსკის უნივერსიტეტის ვენერიულ კლინიკის ორდინატორად ნამყოფი იღებს ავადმყოფებს კანისა და ვენერიულის სნეულებით ყოველ დღეს — 5 ნახ. საათამდე, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ, რაზიკოვის ქუჩა, № 19.

ექიმის თანაშემწე

ვლ. ი. თავართქილაძე

დებულობს ავადმყოფებს ყოველ-დღე საღამოს 4—6 საათამდე. ყვავილის აცრა, კანს ქვეშ წამლის შეშხაპუნება, მასსაჟი ▷ ელექტრიზაცია. ტექნიკური ქუჩა, № 4

ექიმი გ. მ. მუხაძე

იღებს [illegible] ავათმყოფებს საღამოს 6—8 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა № 67; [illegible] საზ. შენობის პირდაპირ, [illegible]. ტელეფონი № 5—77.

ექიმი კ. ი. გვარჯალაძე

შინაგან და ბავშვთა სნეულებათა
ავათმყოფებს მიიღებს ყოველდღე საღამოს 5—6 ს., კვირა დღის გარდა.
ქსენიევის ქუჩა, № 4, სასტუმრო [illegible] გვერდით. ტელეფ. 15—00.

მედიცინის დოქტორი

ბ. ბ. მეგრაბიანცი

ჩამოვიდა ▷ განაახლა ავათმყოფების მიღება. შინაგანი ავათმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა სხივებით. დიდი სოლენოიდი არსონვალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავათმყოფობისათვის. ყოველდღე დილის 9—1 საათამდე, საღამოს 6—8-მდე. მეტეხის ქუჩა № 28, ტელეფონი 7—92.

თფილისის ქართული პურის მცხობელ მუშათა

პროფესიონალურ კავშირს ჰყავს 600 უმუშევარი

პურის მცხობელი ხელოსანნი.

ვისაც დასჭირდება მუშები, მოაკითხოს კავშირს პეტრე დიდის ქუჩა სახლი № 18. მორიგეობს ყოველ დღე გამგეობის წევრი დილის 9—2 საათამდე, საღამ. 5—9 საათამდის.

3—1 გამგეობა.

მოქალაქენო!

ბინების კანონის ძალით 5 აგვისტოს 1917 წლისა, თბილისის ქალაქის საბჭომ დაადგინა, დაარსოს თფილისში ექვსი (6) მომრიგებელი ბინათა კამერა, თითო ყოველ ორ სამილიციო უბანში.

კამერათა თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს ირჩევს კანონის ძალით ქალაქის საბჭო, რის მიხედვითაც თფილისის ქალაქის საბჭომ თავის სხდომაზედ 16 ოქტომბერს აირჩია ექვსი კამერის თავმჯდომარე და მათი მოადგილენი.

კამერების წევრების შემადგენლობა თანაბარია, ე. ი. მდგმურები და სახლის პატრონები ირჩევენ კამერისთვის თანაბარ რიცხვს თავიანთ წარმომადგენლებისას. ყოველ კამერაში არჩეულ უნდა იქმნას 24 წევრი; ამათგან 12 მდგმურისა და 12 სახლის პატრონის წარმომადგენელნი.

არჩევნებში მონაწილეობის მიღება შეუძლიან ყოველ მოქალაქეს განურჩევლად სქესისა, ვისაც კი ჰქონდა ხმა საქალაქო არჩევნებში.

ყოველ ორ მეზობლად მყოფ სამილიციო უბანში მოწვეულ იქნება თითო კრება სახლის პატრონებისა და თითო მდგმურებისა.

კრებები ყველასათვის დანიშნულია კვირას, 5 ნოემბერს დილის 11 საათზედ.

ადგილები სახლის პატრონთა კრებებისათვის.

1—2 უბ.—თაბრიზის არტისტიულ საზოგადოებისა.
5—8 უბ.—კომერციული სასწავლებელი, 19 თებერვლის ქუჩაზედ.
6—7 უბ.—მე-5-ე ვაჟების გიმნაზია, პეტრე-პავლეს ქუჩაზედ.
11-12 უბ.—[illegible] კლუბი.

ადგილები მდგმურების და თითო ოთახის მოქირავენთა კრებებისათვის:

2—3 უბ.—მე 3 ე ვაჟების გიმნაზია, ლერმონტოვის ქუჩაზედ.
5—8 უბ.—სახელოსნო სასწავლებელი, ეგზარხის მოედანზედ.
6—7 უბ.—ავლაბრის კლუბი, კახეთის მოედანზედ.
11 12 უბ.—ნაძალადევის თეატრი.

რამდენიც უნდა აღმოჩნდეს დამსწრეთა რაოდენობა, კრებები კანონიერად ჩაითვლებიან.

2—2 თფილისის ქალაქის გამგეობა.

სწრაფელ-მბეჭდავი სტამბა [illegible] № 1.